საერთო გაზეთი

№34 (726)
ოთხშაბათი
25 ოქტომბერი, 2023წ.
ფასი 1.50 ლ.

სალომეს არ ანაღვლებს, ისტორიაში „კოჭლ იხვად“ დარჩება თუ „შავყურა თეთრ ბიმად“

ის, რაც იუპიტერს ეპატიება, არ ეპატიება ხალხს

დროა, უარი ვთქვათ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ აგდებულ დამოკიდებულებაზე

იდუმალი მისტერ შარპი – ფერადი რევოლუციების მამა

„ბიჭიკოს საფრთხობელა“ და ოპოტელევიზიები

„სტატუსმინიჭებული“ უკრაინა კორუფციის ჭაობში ჩაეფლო



ირაკლი ღარიბაშვილი ოლივერ ვარჰეის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარს — ოლივერ ვარჰეის შეხვდა.

ბრიუსელში პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესზე იმსჯელეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ოლივერ ვარჰეის 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

პრემიერ-მინისტრმა ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ 12 პრიორიტეტით გათვალისწინებული რეფორმების შესასრულებლად, საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა სათანადოდ აისახება ევროკომისიის ანგარიშში და ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციას გასცემს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები და ის რეფორმები, რომლებიც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განახორციელა ჩვენმა ქვეყანამ. ყურადღება გამახვილდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ოლივერ ვარჰეიმ უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე მოსაზრებები გაცვალეს.

პრემიერ-მინისტრმა ევროკომისარს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ღარიბაშვილი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიწვევით, მონაწილეობას იღებს ფორუმში, სახელწოდებით „გლობალური კარიბჭე“

ის ფაქტი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი ფორუმის ფარგლებში, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ როლს და მნიშვნელობას, რაც საქართველოს გააჩნია ევროპისთვის, ევროკავშირისთვის, დაკავშირებადობის კონტექსტში, - ამის შესახებ ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩმა ვახტანგ მახარობლიშვილმა, პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახლავთ მთავარი მომხსენებელი, ე.წ. key note speaker პანელზე, რომელიც დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო დერეფნებთან. აღნიშნულ პანელზე ასევე მონაწილეობას მიიღებს ევროკომისიის ტრანსპორტის ევროკომისარი, ისევე, როგორც ევროკომისიის გაფართოების და სამეზობლო საკითხების ევროკომისარი.

ვფიქრობ, რომ ის ფაქტი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი ფორუმის ფარგლებში, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ როლს და მნიშვნელობას, რაც საქართველოს გააჩნია ევროპისთვის, ევროკავშირისთვის, დაკავშირებადობის კონტექსტში“, - განაცხადა ვახტანგ მახარობლიშვილმა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გამგზავრების ტერმინალი ფართოვდება

მგზავრებისთვის დამატებითი კომფორტის შექმნის, აეროპორტის გამტარუნარიანობის გაზრდისა და რიგების შემცირების მიზნით, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მმართველი კომპანია „ტავ ჯორჯია“ კიდევ ერთ მასშტაბურ პროექტს იწყებს.

საპასპორტო კონტროლისა და საავიაციო უშიშროების შემოწმების ზონების გასაფართოებლად, 23 ოქტომბრიდან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გამგზავრების ტერმინალში სარეკონსტრუქციო სამუშაოები იწყება.

პროექტი გულისხმობს ესკალატორებთან მდებარე ღიობების ნაწილობრივ ამოვსებას, რის შედეგადაც, გაჩნდება დამატებით 220 კვ.მ სივრცე. შესაბამისად, გაიზრდება საპასპორტო კონტროლის ჯიხურების რაოდენობა, გაფართოვდება საავიაციო უშიშროების შემოწმების ზონა და გამგზავრების დარბაზში მდებარე ბიზნესლაუნჯი.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება როგორც მგზავრების, ასევე თანამშრომელთა უსაფრთხოება. სამშენებლო მოედანი, სტანდარტების სრული დაცვით, შესაბამისი მასალით შემოიღობება. ახლომდებარე სარეგისტრაციო დახლები კი სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულებამდე არ იფუნქციონირებს.

პროექტი, რომელშიც „ტავ ჯორჯია“ 2 200 000 ლარის ოდენობის ინვესტიციას ახორციელებს, 2024 წლის თებერვალში დასრულდება.

„ტავ ჯორჯიას“ შესახებ

„ტავ ჯორჯია“ ADP ჯგუფის წევრი TAV Airports Holding-ის შვილობილი კომპანიაა. მისი საქმიანობა საქართველოში 2005 წელს დაიწყო და მოქმედი კონტრაქტით 2027 წლამდე გაგრძელდება. საქართველოში განხორციელებული 220 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის შედეგად, 2007 წელს ექსპლუატაციაში შევიდა თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ახალი სამგზავრო ტერმინალები. 2016-2017 წლებში განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა არსებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სრული რეაბილიტაცია და აშენდა მოფრენის ახალი ტერმინალი. TAV Airports Holding-ის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციის, აეროპორტების ოპერირებაში მრავალწლიანი გამოცდილებისა და გონივრული მენეჯმენტის შედეგად, „ტავ ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სანდო, სტაბილურ და დინამიურ კომპანიას წარმოადგენს. დღეისათვის „ტავ ჯორჯიაში“ დასაქმებულია 1300 თანამშრომელი.

სალომეს არ ანაღვლებს, ისტორიაში „კოჭლ იხვად“ დარჩება თუ „შავყურა თეთრ ბიმად“

სრულიად საქართველო და საქართველოთი დაინტერესებული ქვეყნები სულგანაბული ელოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვოიაჟები კონსტიტუციას, რომლებსაც მთავრობის დასტურის გარეშე ახორციელებდა (ცალკე საკითხია ამ ვოიაჟების დაფინანსების წყარო).

ყველასათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ საუბარი ეხებოდა კონსტიტიტიციის უპატივცემულობას და თვით საქართველოს პრეზიდენტი ქალბატონის მიერ კონსტიტუციის არაფრად ჩაგდების პრეცედენტზე რეაგირებას.

ფაქტობრივად, საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილმა საქართველოს პრეზიდენტმა ქალბატონმა საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის პოზიცია დაიკავა და შეეცადა, მისი ხაზი გაეტარებინა „სახელმწიფო მე ვარ!“ ვერ გაქაჩა ბოლომდე, თორემ მასავით — „მზე პრეზიდენტად“ გამოგვიცხადებდა თავს.

რომელი მზე, ჩვეულებრივი „კოჭლი იხვია“!

ბევრმა ვერ გაიგო, რა შუაში იყო იხვი და თანაც კოჭლი. პრეზიდენტის იხვად გამოცხადება უზრდელობაში ჩაუთვალეს ბატონ ირაკლი კობახიძეს. რა თქვა ასეთი საკვირველი, რა აკადრა ქალბატონ პრეზიდენტს? ირაკლი კობახიძე: „საპრეზიდენტო უფლებამოსილების ბოლო, მეექვსე წელს ის სრულად იქნება მოკლებული პოლიტიკურ და მორალურ ლეგიტიმაციას და დარჩება, ამერიკული ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ე.წ. კოჭლ იხვად, რომელიც უფსკრულისკენ მიმავალ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ არის ადევნებული.“

რა უცნაურები არიან ადამიანები? თუ აქამდე არ წაუკითხავთ წიგნი, სანამ ბატონ კობახიძეს უზრდელად გამოაცხადებდნენ, ცოტა რამ რომ წაეკითხათ, უწიგნურობას ნამდვილად აჯობებდა. კაცი ამბობს, „ამერიკული ტერმინოლოგიით რომ ვთქვაო“ და „ამერიკის“ ხსენებამ მაინც დააინტერესოს ევროპისკენ მიმავლები, „ხრამაია უტკა“ ხომ არ უთქვამს... თუმცა, ე.წ. ამერიკული კანონი „ფარა“ რომ რუსულ კანონად დაიჩემეს, იმ ხალხისგან რა არის გასაკვირი და მოულოდნელი?

უცოდინარობა რაღა სახის მოდაა?

არც სენ სიმონი ვარ, არც ფურიე და ოუენი, მაგრამ მინდა, რომ ქალბატონ პრეზიდენტ კოჭლ იხვზე ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ: ტერმინი „კოჭლი იხვი“ გადატანითი მნიშვნელობით მე-18 საუკუნეში ითქვა დიდ ბრიტანეთში საფონდო ბირჟის გაკოტრებული ბროკერების მიმართ, რაც გულისხმობდა ადამიანის ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნას, როდესაც სტატუსი კი აქვს, მაგრამ არაფერში არგია, მხოლოდ სახელად არის დარჩენილი.

ბუნებრივია, რომ აღნიშნული ტერმინი დიდი ბრიტანეთიდან აშშ-ის ფინანსურ წრეებშიც მოიკიდებდა ფეხს. ტერმინის აშშ-ში დამკვიდრება დაემთხვა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონ ადამსის თომას ჯეფერსონთან წაგებას. ალბათ, თვით ადამსსაც კი გაუკვირდა საკუთარი წაგება იმ მოცემულობით, რომ მე-4 ადგილზე გავიდა, თუმცა, პრეზიდენტობის ბოლო თვეები გამოიყენა და ჯეფერსონის ინაგურაციამდე ოთხი მოსამართლე დანიშნა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ადამსის დანიშვნები და იგი ისტორიაში პირველი პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელიც „კოჭლი იხვის“ სტატუსით დარჩა.

ქალბატონ პრეზიდენტს, როგორც ვხედავთ, სრულებით არ ანაღვლებს „კოჭლ იხვად“ დარჩება საქართველოს ისტორიაში„ თუ „შავყურა თეთრ ბიმად“, მაინც თავისას მიერეკება, მართალი ვარ და სულ მართალი, არც გადავდგები, არც გადმოვდგები, ჯერომ სელინჯერის ჯიბრით, სულ ჭვავის ყანაში ვივლი მანამ, სანამ ვინმე ფინდლის გამოვკრავ ხელსო.

რა ჯადო გვჭირს ასეთი, რომ თიმსალ-მაკოც კი უძლურია?

მცირედით გადავუხვევ სერიოზულ თემას. მოგეხსენებათ, მძიმე პირობებში უწევთ მეცხვარეებს ცხვრის გაძღოლა მთებში, სიცივესა და ქარაშოტში. როდესაც ბარად ჩამოდიან, ოჯახს დანატრებულები, გზად კახეთის სოფლებზე უწევთ გავლა. აბრო ძიამ მომიყვა: დისწულო, მოვდივარ, ცხვარს მოვერეკები დამშვრალი, არხილოსკალოს ვეტევები და გავხედე, ორი კახის ქალი ჩხუბობს, რაღაცას ვერ იყოფენ. ფარა გაედინა და გავიგონე, ერთი ეუბნება მეორეს: თუ ვტყუოდე, აი, ამ მწყემსმა კი შე&&&&&ცა შენაო. დისწულო, იგრე გამინათდა თვალებში, ხმამაღლა შევძახე: აი, შენ კი აგაშენა ღმერთმა-მეთქი!

რას მოვაყოლე და, ამ ჩვენს კოჭლ იხვს. ასეთი არავინ მინახავს ამ ხნის ქალს. ვითომ ხომ მისი კუდიმჭერლები გახდნენ კოლექტიური „ნაცები“, ადგილობრივი თუ ევროპული „წარმოებისა“, მაინც ვერ ოკდებიან, ელანძღვინებათ. ზოგჯერ, ლამის მართლა შემებრალოს ყველასგან თავსლაფდასხმული ქალბატონი პრეზიდენტი. „ლავროვის შნუროკი“ არ მქონდა მონელებული და ახალი დასცხო ასევე ქალბატონმა მეგი გიცირიძემ: (უცვლელად) „50 დღეზე მეტი ჰქონდა ნაშიმშილარი, სიკვდილს უყურებდა თვალებში, მოწამლული ჰყავდათ, შეურაცხყოფილი, მთელი Eევროპა და ამერიკა მოუწოდებდა ხელი მოეწერა პრეზიდენტის გათავისუფლებაზე და ძნელი გამოსაცნობია, რომ სწორედ მაგ დროს ამოიკითხა ქაღალდის ნაგლეჯზე ნათარგმნი ამ პუტინის მიერ დაქირავებულმა ქილერმა „არა და არასოდეს-ო“ და საკონტროლო ტყვია დაახალა მომაკვდავ პრეზიდენტს, მისი ხელიდან მკვდარია მიშა და ეს გველაპარაკება ევროპაზე, ეს ბებერი კუდიანი ძუკნა, სრულიად ამორალური, კრემლის ნომრიანი აგენტი?“

ვიტყოდი, ამას რომ წაიკითხავდი, დედა, როგორ გამწარდებოდი ჩემო პრეზიდენტომეთქი, მაგრამ ვერ ვამბობ, ვისი პრეზიდენტიც არის, ის ლანძღავს და მე ვიღას დავკარგვივარ?

მაშასადამე, მოკლედ მოვჭრათ და ვთქვათ, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი კოჭლი იხვიცაა და ფრთამოტეხილი ყარყატიც! ყარყატი მე მოვიგონე, რადგან არ ვიცი, კვლავ განაგრძობს თუ გადაიფიქრებს ვითომ ჩვენი (ხალხის) მიცემული ნდობის მანდატით დედამიწის გარშემო ხეტიალს. ჰკითხეს, ჰა, რას იზამ ქალბატონოო და ერთი დაალუღუნა: კითხვებზე პასუხს არ ვიძლევი, თავში ქვა გიხლიათო, - ასე იფიქრა, უბრალოდ, მოკლედ მოჭრა.

ერთი რამ მაინტერესებს: ამ ქალბატონმა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აქცია რომ გამართა იმ ქარაშოტსა და ტლაპოში, მეც იქ გახლდით იპოდრომზე და რაღაც სხვა ჰანგზე მღეროდა. ლამის სერგეი ლავროვის ფანკლუბი რომ ჩამოგვიყალიბა, მაშინაც კარგად მახსოვს რა ჰანგზე „მღეროდა“ - ივანოვი მთლად ბიძაჩემი მეგონა ლამის და ახლა რა ევროპული თუ ამერიკული ჯაგარი აეშალა? მე ნურაფერს დამწამებთ, თითოეულ სიტყვას ვწონი, თავად დაწერა (მეგობრებში მყავს ფბ-ში): აჯაგრული ვარ, ახლა არაფერი მომწეროთო!

სხვათა შორის, მთლად ზედმიწევნით არ მახსოვს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმაც ახსენა „კოჭლი იხვი“ საკუთარ პერსონასთან დაკავშირებით, უბრალოდ, ვინ გაბედავდა მის გაკოჭლიხვებას, თავები აღარ შერჩებოდათ მხრებზე; ედუარდ შევარდნაძესაც ემუქრებოდა იგივე სტატუსი და მანაც აირიდა...

რა მიკვირს იცით, რა და ქალბატონ კოჭლი იხვის ჩემფეხებობა! ელემენტარულად, სირცხვილია ქალის კულტის ქვეყანაში ქალი პრეზიდენტის გაკოჭლ-გაიხვება... - თუმცა, ქალი და კაცი ვეღარ გაგვირჩევია და იხვები რაში გვანაღვლებს...

ქალბატონი პრეზიდენტი, ალბათ, ფიქრობს, აი, დარდი, თუ „კოჭლი იხვი“ დამერქმევა, ჯონსონი, კარტერი და ნიქსონი თუ იყვნენ „კოჭლი იხვები“, რა დააკლდათო? ბოლო-ბოლო, შესაძლოა, აგერ, ეს ჩემი თანადროული კუანა ჯოც გახდეს „კოჭლი იხვი“ და რა გამიჭირეთ საქმე, ამათთან ერთად მინდა მსოფლიო ისტორიაში შესვლაო! კაით, რაააა, დიდი ბრიტანეთის ექსპრემიერი ტონი ბლერი თუ „გაიხვდა“, მე რაღა მიჭირსო? ტონი მონტანა იქით იყოს და ტონი ბლერს კი მოუწია ბოლო ორი წელი „კოჭლ იხვად“ ყოფნამ.

სხვა რამ მაინტერესებს: როდესაც დონალდ ტრამპმა თქვა, დაიცავით თქვენი ხმებიო, სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებას ესარჩულებიან და ამ ჩვენმა ფინთიკოზამ იგივე რომ მოითხოვა, გამოდით ქუჩაშიო, დემოკრატიის ოლიმპოზე ავცვივდით? ნეტავ ვის უხმობდა? რისი გამომსვლელები არიან, სადღა არიან, ერთმანეთს ჩაქუჩით დასდევენ...

ვიღაც პიროვნება, რომელსაც რაღაცნაირად ხალხის მანდატი ერგო, შეურაცხყოფას აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც კანონი კანონობს, ამგვარი გამოხდომა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლებოდა!

ორმაგი სტანდარტი მსოფლიოს კლასს!

მივალ პარლამენტში და სიტყვით გამოვალო, - დაიქადნა „იხვმა“ და რა, მაინც რა, რა გვითხრა? იმ თავის „უძლეველ არმადას“ მოუწოდა და ისიც ჩაეფეხვა...

სრული სერიოზულობით ვამბობ: მიხაროდა ქალი პრეზიდენტი რომ გვეყოლებოდა, მაგრამ ეს ქალბატონი არა და არც შევმცდარვარ, ეს რა არაქალი გამოდგა?

ქალბატონ სალომეს დაავიწყდა, რომ მაია სანდუ არცთუ სანდოა, დსთ-ის წევრი ქვეყანაა მოლდოვა, მაგრამ აშშ-სთან ფლირტიც ფრიად მოსწონს; დაავიწყდა, რომ მაია სანდუს საპრეზიდენტო უფლებები აქვს, ხოლო თავად საპარლამენტო ქვეყნის სიმბოლური პრეზიდენტია.

დიდი ამბით რომ დაგვაყვედრა, ლიტვის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან ვჭუკჭუკებდი, რა გამიჭირეთ საქმეო, რა ისაუბრა ასეთი დასაყვედრებელი?

ოე, ქალბატონო პრეზიდენტო, ლიტვა ის ქვეყანა ხომ არ არის, სადაც ყოველწლიურად დიდ პატივს მიაგებენ და აღლუმებს უმართავენ ცოცხლად დარჩენილ ფაშისტური ორგანიზაციის ეს-ეს-ის დამჭკნარ ოფიცრებს?

ქალბატონი პრეზიდენტი ასეთი უაზროც არ მეგონა!

ქალბატონო პრეზიდენტო, ჭიჭეს, ხაბეს და მისთანების დაქალი რომ გახდები, სწორედ რომ დროა, კვერცხი დადო, მაგრამ აბა, კვერცხიც საიდან უნდა გამოაგორო გადაკრუხებულზე?...

მაპატიეთ, მაგრამ გულიანად ვიცინე და თქვენც გაგაცინებთ:

პარლამენტის სხდომა „იმერული ესკიზების“ სტილში !!!

- აბა დეპუტატებო, ვინ მეტყვის, რა სარგებლობა მოაქვს პრეზიდენტს ?

- ვეტოს ადებს!

- კიდო?

- პარადზე ხელებს იქნევს!

- კიდო რა სარგებლობა მოაქვს?

- პატიმრებს იწყალებს!

- კიდო რას გვაძლევს „მადამ ფრანცუჟენკა“?

სიჩუმეა დარბაზში.

- პარლამენტარებო, კიდო რა სარგებლობა მოაქვს „ძიალოგა“ სალომეს?

ბოლო რიგებიდან ერთი იწევს მოკრძალებულად ხელს.

- პატივცემულო, მთელი 3 წელიწადია, ხმა რომ არ ამოგიღია, აბა, ახლა რას გვეტყვი?

- ტვინს ჭამს!

- გადი ახლავე ფრაქციიდან და კობახიძის გარეშე არ დაგინახო სხდომაზე მოსული!“

ბატონი კობახიძით დავიწყე და მისით ვამთავრებ! - დიდი ამბით რომ დაგვაყვედრა ამ ჩვენის პრეზიდენტმა, ლიტვის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან ვჭუკჭუკებდი და ვამცნე მსოფლიოს, კი ვარღვევ ყველაფერს, მაგრამ ასე ვთვლი საჭიროდო, იმ გიტანას-ჩონგურსაც არ უნდა ალიყური? რა გამიჭირეთ საქმეო, გამოგვიცხადა დედა-დედოფალივით ამ მაკაროვას ბოგანომ და, ფაქტობრივად, იმანაც კვერი დაუკრა.

მგონი, არ მეშლება, გვარს ვერ ვიხსენებ, კორეის ელჩის სიტყვებია: ისწავლეთ „არას“ თქმა და აშენდებითო. რას ჯღაბნიდა გაავებული საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში ფურცელზე, ის ვერ გაგვიგია და რამეზე „არა“-ს მთქმელები ვართ?!

ღმერთო, ნუ გადამრევ და მაინც გამოცანად დარჩა ჩემთვის, პარლამენტში რას ინიშნავდა ეს ჩვენის „კოჭლი იხვი“ ფურცელზე, თუ პასუხის გაცემას არ აპირებდა?

ნინო დაუშვილი

დროა, უარი ვთქვათ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ აგდებულ დამოკიდებულებაზე

ნომრის სტუმარია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი

- ბატონო ბონდო, სალომე ზურაბიშვილმა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა, კანონპროექტს ვეტო დაადო და პარლამენტს განსახილველად უკან დაუბრუნა. როგორ ფიქრობთ, ეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მისი კონტრნაბიჯი ხომ არ არის?

- პრეზიდენტისთვის ამა თუ იმ კანონპროექტზე ვეტოს დადება კანონმდებლობით განსაზღვრული მისი უფლებაა. შესაბამისად, ეს რომელიმე კონკრეტული პარტიის საწინააღმდეგო მოქმედებად ან რომელიმე პარტიის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებად ითვლება. როდესაც პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს არ აწერს და პარლამენტში აბრუნებს, ეს ნიშნავს, რომ მას გარკვეული მოსაზრებები აქვს. ორი კვირის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ხელს მოაწერს და კანონში ცვლილება მაინც შევა ძალაში.

კანონშემოქმედებით საქმიანობა ჩვეულებრივი პროცესია პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობის დროს. არ ვფიქრობ, რომ თუ სალომე ზურაბიშვილი კანონში ცვლილებებს ხელს მოაწერდა, ამით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იქნებოდა და რადგან ხელი არ მოაწერა, ვეტო დაადო, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი აუცილებლად „ნაციონალური მოძრაობის“ ძალების განმტკიცებაზე ფიქრობს. ასე არ არის. ეს უნდა აღვიქვათ, როგორც მისი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი.

- ანუ, გასული კვირის მოვლენების შემდეგ პრეზიდენტი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას...

- პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა გაწერილია კანონმდებლობით. ასევე არსებობს ორგანული კანონი იმპიჩმენტის შესახებ. თქვენ იცით, რომ იმპიჩმენტი, პრეზიდენტის გარდა, შეიძლება გამოუცხადო მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გენერალურ აუდიტორს, მთავრობის წევრს და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს. სხვა ნებისმიერი თანამდებობის პირი ამ „საფრთხისგან“ სრულად დაცულია. საპარლამენტო უმრავლესობამ, სალომე ზურაბიშვილის მოქმედებებში კონსტიტუციის დარღვევის ნიშნები დაინახა. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიემართა და იმპიჩმენტის პროცედურა აღეძრა.

ისიც ცხადი იყო, რომ სალომე ზურაბიშვილმა კონსტიტუცია დაარღვია, რადგან კონსტიტუციაში წერია, რომ ვიზიტების განსახორციელებლად პრეზიდენტს მთავრობის თანხმობა სჭირდება. იგივე დაამტკიცა საჯაროდ, პირდაპირ ეთერში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ცხრავე წევრმა და ხელი მოაწერეს ამ გადაწყვეტილებას. თუმცა სამმა მათგანმა განსხვავებული აზრი გამოხატა. იმ სამ წევრს ისე ნუ აღვიქვამთ, თითქოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ხელი არ მოუწერიათ. ისინი ოდნავ განსხვავებულად ფიქრობდნენ და ეს გამოხატეს კიდეც. ამას ითვალისწინებს სწორედ დემოკრატია.

მართალია, პრეზიდენტი თანამდებობაზე დარჩა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუცია არ დაურღვევია. სამართლებრივად, პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დამრღვევი, მაგრამ პოლიტიკურად ეს აქტი ვერ განხორციელდა.

- მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. რჩება თუ არა ის თანამდებობაზე, სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენი უცხოელი „დაუძინებელი მეგობრების“ თვალში, რომლებიც გამუდმებით გვამუნათებენ და თავიანთ წესებს გვკარნახობენ. ეს რას უნდა ნიშნავდეს, მათ თვალში სალომე ზურაბიშვილს რეპუტაცია არ შეილახა?

- რასაკვირველია, სალომე ზურაბიშვილს, როგორც პრეზიდენტს, რეპუტაცია შეელახა, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არის საკონსტიტუციო სასამართლო, დიდ პატივს სცემენ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებას. ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა იმპიჩმენტს, ოპოზიციამ კი კატეგორიული უარი თქვა მხარდაჭერაზე და მათი ნაწილი არც კი გამოცხადდა სხდომათა დარბაზში, ნიშნავს, რომ ოპოზიცია პატივს არ სცემს კონსტიტუციას და საკონსტიტუციო სასამართლოს.

გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის ავტორიტეტი ძალიან სერიოზულად დააზიანა ამ პროცესმა, ასევე, ძალიან დააზიანა საკონსტიტუციო სასამართლოც. საქართველოში ინსტიტუტების მიმართ აგდებული დამოკიდებულება ერთგვარ „ტრადიციად“ ჩამოყალიბდა. დროა, ამ „ტრადიციაზე“ უარი თქვან უპირველესად, პოლიტიკოსებმა და შემდეგ ყველამ, ვინც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

ასე რომ, ამ ყველაფერმა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით შელახა პრეზიდენტის იმიჯი, არამედ საზღვარგარეთაც. ის პროცესები კი, რაც ქვეყანაში წლების განმავლობაში მიმდინარეობს, სერიოზულად აზიანებს ქართველი პოლიტიკოსების რეპუტაციას ქვეყნის გარეთ.

- უცხო ქვეყნის ოფიციალური პირების მიერ გაჟღერებული შეფასება საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, არსად მინახავს. იქნებ გამომრჩა და მათ ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთეს?

- შეიძლება, მათ პერსონალურად რაღაც მოსაზრება გამოთქვან, როგორც დეპუტატებმა, მაგრამ ინსტიტუციები ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებენ. ისინი დიდ პატივს სცემენ კონსტიტუციას და საკონსტიტუციო სასამართლოს და მათი ნებისმიერი განცხადება აღიქმებოდა არამხოლოდ საქართველოს შინაურ საქმეში ჩარევად, არამედ სასამართლო ინსტიტუტზე თავდასხმად, რასაც არ დაუშვებენ.

რეალურად ყველამ იცის, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, მათ შორის იმ პოლიტიკოსებმაც, ვისთანაც სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრები გამართა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. არადა, პრეზიდენტი კონსტიტუციის დაცვის უპირველესი გარანტი უნდა იყოს. ამის გაკეთება, ჩემი აზრით, მისი მხრიდან საბედისწერო შეცდომა იყო. პარლამენტს უნდა აღეძრა იმპიჩმენტის საკითხი, რადგან საქართველოს კონსტიტუციაზე მაღლა არც ერთი თანამდებობის პირი არ დგას. ამის უგულებელყოფა ნიშნავდა იმას, რომ არც საქართველოს პარლამენტი სცემს პატივს კონსტიტუციას და არ იცავს მის ფასეულობებს.

- „სიუპრიზების“ მოყვარული ქალბატონია ჩვენი პრეზიდენტი და მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ საკითხზე ერთხელ უკვე გარკვევით განაცხადა „არა და არასდროს“?!

- არა, არავითარ შემთხვევაში! მიუხედავად იმისა, როგორი დამოკიდებულება გვაქვს სალომე ზურაბიშვილის მიმართ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ ის გამოცდილი დიპლომატია, რომელიც ქართულ პოლიტიკაში გუშინ არ შემოსულა და საქართველოს სიტუაციას ძალიან კარგად იცნობს. ასევე ძალიან კარგად იცის, ვინ არის, რა დააშავა სააკაშვილმა და რა შეიძლება გამოიწვიოს შეწყალებით მისმა გათავისუფლებამ. ამიტომ, ზედმეტი სპეკულაციების თავიდან ასარიდებლად, მან თავიდანვე განაცხადა, რომ სააკაშვილს „არა და არასდროს“ შეიწყალებს. ეს ასეც დარჩება, რადგან სააკაშვილის შეწყალება იქნება უკვე ის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის შემდეგ სერიოზული საფრთხის წინაშე არამხოლოდ სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდება. პრეზიდენტი ამას არ იზამს, არა იმიტომ, რომ კეთილი ქალბატონია, არამედ იმის გამო, რომ კარგად აქვს გააზრებული პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამ საქმესთან დაკავშირებით.

- ბატონო ბონდო, სამოქალაქო არეულობის მოწყობის საფრთხის წინაშე ვდგავართ. სუს-მა გაგვაფრთხილა, რომ დესტრუქციული ძალები საქართველოში „მაიდანს“ გეგმავენ. როგორ შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილება?

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ძალიან სწორად მოიქცა, როდესაც პრევენციული განცხადება გაავრცელა. უშიშროების სამსახურები მოქმედებენ ფარულად და ყველაფერს, რასაც იკვლევენ, იძიებენ და აკვირდებიან, საჯაროდ ვერ გამოიტანენ. თუმცა, დესტრუქციული ძალები რეალურად ცდილობენ, მოამზადონ გარკვეული ჯგუფები ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების გასაჩენად. ასეთი მცდელობები იყო, არის და კიდევ იქნება. ეს ჯგუფები: „თავისუფლების ინსტიტუტი“, აკერმანის შეგირდები, „კანვასი-საქართველო“, სერბეთიდან ჩამოყვანილი ტრენერები, „ფრანკლინის კლუბი“ და ასე შემდეგ, უკვე წლებია, ამ მიმართულებით მოქმედებენ. ცდილობენ, საზოგადოებრივი აზრი შეამზადონ და შემდომ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით გადატრიალება მოაწყონ. ეს მცდელობები დიდი ხანია, განათლების სისტემაში ძალიან აქტურად მუშავდება, ვგულისხმობ უმაღლესი განათლების კერებს, როგორიცაა „ილიას უნივერსიტეტი“, „ალასანიას უნივერსიტეტი“, ბენდუქიძის უნივერსიტეტები... დაკვირდით, ვინ არის ამ უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალი და ყველაფერი ნათელი გახდება.

ნაცმოს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა 2012 წლის შემდეგ, სწორედ ამ უმაღლეს სასწავლებლებში გადაინაცვლეს. ისინი შეეცდებიან, ქართველი ხალხის აზრის და განწყობის საწინააღმდეგოდ, გარე ძალების დახმარებით კვლავ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ძალიან აქტიურად მუშაობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

9 ნოემბერს გამოცხადდება ევროკავშირის პირველადი დასკვნა საქართველოს ეროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და შემდეგ უკვე დეკემბერში, ევროკავშირის სახელმწიფოების მეთაურთა სამიტზე უნდა გადაწყდეს სტატუსის მინიჭების საკითხი. ვფიქრობ, რომ სტატუსს საქართველოს მიანიჭებენ და არ მაქვს მოლოდინი, რომ ამ უახლოეს ორ თვეში რაიმე სერიოზულ საფრთხეს გვიმზადებდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები და ყოფილი ხელისუფლება ძალიან აქტიურად ემზადება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. იქ ჩვენ დაგვჭირდება ყურადღების გამახვილება იმაზე, ვინ რა ინტერესებით შეიძლება გამოიწვიოს ქაოსი და დესტაბილიზაცია საქართველოში.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ემზადება არჩევნებისთვის. ემზადებიან მართლაც ყველანაირი ხერხით და მეთოდით, მაგრამ ვისი სახით იქნებიან წარმოდგენილი, ეს არის საინტერესო.

- „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად არანაირი პერსპექტივა არა აქვს. მათ მხოლოდ დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლიათ, მაგრამ საფიქრებელიც სწორედ ისაა, რომ, თუკი ამ დესტაბილიზაციაში საერთაშორისო ძალები აქტიურად ჩაერთვებიან, ქვეყანა არ დააზიანონ.

ერთადერთი საფრთხე, რაც „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე შეიძლება შეექმნას, ეს არის ეგრეთ წოდებული ნეგატიური ხმა. არჩევნებში ყოველთვის ჩნდება მოქმედი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო ადამიანთა ხმები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერები, მაგრამ აღარც მმართველი პარტიის მხარეს არიან. ეს არის დაკარგული ხმები.

ქართული პოლიტიკური სივრცისთვის იქნება ის, რომ დღევანდელი ოპოზიცია თავისი უგუნურებით, თავისი რადიკალიზმით, თავისი დესტრუქციულობით, ამომრჩეველს საარჩევნო უბანთან მიიყვანს და, შედეგად, შესაძლოა, უკვე მომდევნო ვადით „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობითაც ვიხილოთ. ფაქტობრივად, მმართველ პოლიტიკურ ძალას არ დარჩება ოპონენტად ჯანსაღი ძალა, რომელიც შეცდომებზე კვალიფიციურად მიუთითებს და ამ შედომების დაშვების საშუალებას არ მისცემს. ეს კი ძალიან ცუდია. ამიტომ უნდა გაჩნდნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალები, რომლებიც მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებენ.

ვისურვებდი, საქართველოში გაიზარდოს ახალგაზრდა პოლიტიკოსების ისეთი თაობა, რომლებიც ჩასაფრებულის პოზიციებიდან კი არ შეუტევენ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფო ინტერესებით იმოქმედებენ.

- უგუნურება ახსენეთ და მეტი უგუნურება რა უნდა იყოს, რაც ახლა სოფო ჯაფარიძისა და მისი გუნდის ჭორვილაში ჩასვლა იყო.

- მართლაც ძალიან უგუნური საქციელი იყო, მაგრამ მე ამას მხოლოდ ერთ „გამართლებას“ ვუძებნი. საკაშვილი ისტერიულ მდგომარეობაშია და პარტიის წევრების მხრიდან მოქმედებას მოითხოვს. ძალიან კარგად ხედავს, რომ პარტია „ნაციონალურ მოძრაობა“ დაიშალა და ამის გამო პანიკაშია. ფიქრობს, რომ თუ არ იაქტიურებენ და მისი სახელი აქტუალური არ იქნება, ამ შემთხვევაში ის ყველას მიავიწყდება. **სააკაშვილი უკვე ქართული პოლიტიკის ფარსული და პენიტენციური სისტემის დღევანდელობაა.** სოფო ჯაფარიძე მართლა სულელი ხომ არ არის?! ძალიან კარგად ხვდებოდა, ამას რა შედეგიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მხოლოდ სააკაშვილის ისტერიკის დაცხრობისთვის გაკეთდა.

აი ასეთ, თვითგანადგურების რეჟიმშია ოპოზიცია და ვერ ხვდებიან, რომ ამით მხოლოდ საკუთარ თავს აზიანებენ. სწორედ ამიტომ არის, რომ, ფაქტობრივად, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს დარჩა საქართველოში, „ქართული ოცნებაა“.

ნონა ქარქაშაძე

„ბიჭიკოს საფრთხობელა“ და ოპოზელევიზიები

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, წინა კვირას პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, ზურაბიშვილი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს კანონებისთვის ვეტოს დადებას. რა ფენომენთან გვაქვს საქმე?

— მისი ქცევა მისივე პიროვნებიდანაც გამომდინარეობს და, ამავდროულად, იგი დასავლური ულტრალიბერალური პროექტის ნაწილიცაა. ეს უკვე ჩონჩხად ქცეული პროექტია, რომელიც საშინელებათა ფილმების მსგავსად (სადაც ადამიანებს ჯერ ხელი სძვრებათ, მერე ფეხი და ა.შ., თანდათან იშლებიან), თავის ნაწილებს ნელ-ნელა კარგავს. ქართულმა ულტრალიბერალიზმმა კლასიკური ლიბერალიზმი მთლიანად გაანადგურა. დღეს კონსერვატიზმი სჭარბობს, რასაც მივესალმები, თუმცა კლასიკური ლიბერალიზმიც უნდა არსებობდეს, მით უმეტეს, ჩვენისთანა ქვეყანაში. ზურაბიშვილი ფსევდოლიბერალების და „შინ ევროპელების“ ანუ, დასავლური ფასეულობების პროექტში ინტეგრირდა. დღევანდელი დასავლეთის პოლიტიკური ელიტა დეგრადირებულია. ეს კოლოსია, რომელიც ხის ფეხებზე დგას და ხვალ-ზეგ ჩამოიშლება. ქართულ პოლიტიკაში ფასეული გახდა ეროვნული ღირებულებები, რაც ახალ ოპოზიციას — კონსერვატორებს აქვთ. ამ გზაგასაყარზე პრეზიდენტმა ფსევდოლიბერალიზმი და ევროპული ღირებულებები აირჩია. აღსანიშნავია, რომ ზურაბიშვილს მხოლოდ დნმ აქვს ქართული, თორემ მისი კულტურული კოდი ფრანგულია. იგი გახლავთ ქალიღამურა, რომელიც არც იქითაა, არც — აქეთ. იგი სხვა არჩევანს ვერც გააკეთებდა. არჩევანის გზაზე მას „ნაცმოძრაობა“ დახვდა, თავისი სატელიტებით, რომლებიც მისთვის სასურველ ფიგურებს არ წარმოადგენენ. ზურაბიშვილი არ არის ნაცების მიმართ სიმპათიით განწყობილი, მაგრამ სხვა არჩევანი არ დარჩა. პარლამენტში ნიკო ნიკოლაძით იწონებდა თავს. ეს უკანასკნელი ქართული ფასეულობებისთვის იბრძოდა და არა იმისთვის, რა გზასაც სალომე დაადგა. სინამდვილეში, ეს ქალი დიდ დისკომფორტს განიცდის — ვინც აფურთხებდა, აგინებდა, დღეს მათ გვერდით დგომა უწევს. ეს ადვილი არ არის. ამას ხელს უწყობს მისი ფსიქოტიპიც — ღამურას კომპლექსის გამო საოცარი ინფანტილური, ბავშვური სიჯიუტე ახასიათებს.

ზურაბიშვილი მაღალი რანგის დიპლომატი არასდროს ყოფილა. დიახ, იგი მხოლოდ იმ პროექტში, იმ ადამიანებთან ხედავს საკუთარ თავს, რომლებიც საერთოდ არ მოსწონს. მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. სიმპათიებს მხოლოდ მისი ადმინისტრაციიდან იმსახურებს, რომელსაც ხელფასს სახელმწიფო უხდის. ზურაბიშვილს გუნდური მუშაობა თავისი კომპლექსების, ამბიციების გამო ძალიან უჭირს. იგი ინდივიდუალისტია. მას თავი სხვაზე აღმატებული ჰგონია მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთში დაიბადა და გაიზარდა. არადა, იგი არავისზე მეტად განათლებული არ არის. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ბევრს არაფერს ნიშნავს. ამაზე სეროჟას ნათქვამი მახსენდება: თუ „გარაჟში“ დაიბადები, ავტობუსი იქნებიო?! რადგან საფრანგეთში დაიბადე, არ ნიშნავს, რომ ვინმეზე აღმატებული ხარ. ჯერ ერთი, ფრანგი ქართველზე აღმატებული არ არის. მას ეს არ ესმის, რადგან საბჭოთა კავშირთან ბრძოლაშია ჩარჩენილი. როგორც ყველა ამერიკელი, ისიც ყველა ქართველს ისე გვიყურებს, როგორც რუსს. ქართველი ხარ, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, მნიშვნელობა არ აქვს, ე.ი. რუსი ხარ. ამერიკა ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს ყველას რუსეთად აღიქვამს. აქედან გამომდინარე, სალომესთვისაც უცხონი ვართ. სხვათა შორის, პრეზიდენტი იმპიჩმენტის პროცედურის დღეს დაგვემუქრა: სულ სხვა სალომეს გაჩვენებთო. ესეც ბავშვური ინფანტილობაა. მის გამოსვლაში იგრძნობოდა თავის შეცოდებაც, ნიკოლაძით თავმომწონეობა და ა.შ. საბოლოოდ, ის პოლიტიკოსი კი არა, ინდივიდუალისტია, რომელიც იქ მოხვდა, სადაც არ უნდოდა. იგი იძულებული იქნება, იმ ხალხთან ერთად გასწიოს ჭაპანი, ვინც სულაც არ ეპიტნავება, მაგრამ დავალება აქვს შესასრულებელი — ფსევდოლიბერალიზმის ჩონჩხს როგორმე ხორცი უნდა შეასხას. არადა, ეს შეუძლებელია — მკვდარი ჯერ არავის გაუცოცხლებია. ჩვენ დღეს გზაგასაყარზე, დუღილის პროცესში ვართ. ამ ეტაპზე ჭარბი კონსერვატიზმი საქართველოს გადარჩენისთვის მნიშვნელოვანია. შემდგომ ის კლასიკური ლიბერალიზმით უნდა გაზავდეს. ამის დროც მოვა. დღეს, როცა მსოფლიო ახალი წესრიგი ყალიბდება, ჩვენი მთავარი ამოცანა გადარჩენაა.

დღეს ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვართ სუვერენული ქვეყანა. ჩვენი სუვერენიტეტი მხოლოდ ქალღალდზეა. ჩვენ არც ეკონომიკური სუვერენიტეტი გვაქვს, არც ენერგეტიკული და არც სამხედრო. საკუთარი თავის არც დაცვა შეგვიძლია, არც გამოკვება. ამიტომ ისევ და ისევ ის ღუზა უნდა ვიპოვოთ, რომელიც გადაგვარჩენს. ქვეყნები, რომლებიც ამას ვერ შეძლებენ, ჩაიყლაპებიან. უნდა მოვძებნოთ ის ფორმა, რითაც საქართველო გადარჩება. ამიტომ დღეს მშვიდობის შენარჩუნება უმთავრესია. მშვიდობა დღეს ნიშნავს სიცოცხლეს, ხოლო ომი — ერის განადგურებას. საქართველოში ომი, რისკენაც მავანი გვიბიძგებს, საქართველოს და ერის განადგურებას უდრის. ოღონდ, ეს აბსოლუტურად უმნიშვნელოა ულტრალიბერალებისთვის, რადგან მათთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ღირებულს არაფერს წარმოადგენს. ისინი გლობალისტები არიან. მათთვის არც ის წარმოადგენს პრობლემას, მთელი საქართველო ამერიკის ნაწილი რომ გახდეს. ეროვნული ღირებულებები მათთვის უცხო ცნებაა.

— ქალბატონო მაია, ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გვარამია ნაცების ბორდს უხელმძღვანელებს და სიასაც თავად შეადგენს.

— ვინ არის გვარამია?! — ჩონჩხის თავის ქალა ვინ იქნება, რა მნიშვნელობა აქვს. „ბიჭიკოს საფრთხობელას“ თავი ხაბეიშვილის იქნება, გვარამიასი თუ სხვისი, ამით არაფერი იცვლება. მნიშვნელოვანი სულ სხვაა — საქართველოში ახალი პოლიტელიტების შექმნის პროცესი დაიწყო. ნაცები და მისი სატელიტები — ძველი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ელიტა, გაკოტრებულია. ოპოზიციური ტელემედიები ჩონჩხადქცეულ ნაცებს და მათ თავკაცებს — „ბიჭიკოს საფრთხობელებს“ ძალით აცოცხლებენ და ხელებს მექანიკურად აქნევინებენ. თორემ, გვარამია დიდი ხანია, აღარაფერს წარმოადგენს, წონა აღარ აქვს. ამ ელიტამ თავისი დრო და ციკლი უკვე მოჭამა. როგორც მოგახსენეთ, ახალი პოლიტიკური ელიტა იქმნება კონსერვატიზმის სახით. რეალურად ეს დუღილის პერიოდია. ძველმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ელიტამ საკუთარი ციკლი ამოწურა ისე, როგორც ველო როგორმე ამ განსაცდელს გადაურჩეს.

ბოლოს ერთ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. როცა საკონსტიტუციო სასამართლოში სხდომებს თვალს ვადევნებდი, გამოიკვეთა, რომ ჩუგოშვილი პრაქტიკოს იურისტად ვერ ჩამოყალიბდა და ეს მხოლოდ მისი პრობლემა როდია. მას უფრო ენჯეოიურისპრუდენტობა ეტყობოდა. ენჯეო იურისტების ფლანგი ჩამოყალიბდა, რომლებიც, სამწუხაროდ, მთელი ცხოვრება ენჯეოში რჩებიან და აღარ ვითარდებიან. არადა, ენჯეოს დანიშნულებაა, საწყისი სტარტი მოგცეს და მერე სამუშაო დამოუკიდებლად თავად უნდა მოძებნო. ჩვენთან ენჯეოდამოკიდებულების მთელი კასტა მისმა პატრონმა. ამ ყველაფრის სახე, ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ, არის ბაიდენი. რუსი პოლიტოლოგი ბეზრუკოვი ამბობს: ის, რაც ამერიკაში ხდება, 1987-88 წლებს მაგონებს, როცა ვგრძნობდით, რომ რაღაც ირყეოდა, მაგრამ არ ვიცოდით, რეალურად რა ხდებოდაო. ასევეა კოლექტიური ბაიდენიც. ამ დღეებში ბაიდენმა აღიარა, რომ მსოფლიო წესრიგი იცვლება. რა იქნება შემდეგ? — ჰეგემონი ომებში გაიხლართა, შეიძლება, მესამე ომიც დაიწყოს სამხრეთ ევრაზიის მიმართულებით. ასე რომ, ლიბერალ-დემოკრატებმა თავიანთი ციკლი მოჭამეს. ვიმეორებ, ეს ციკლი ჩვენთანაც მთავრდება. ამ არეულობაში კოლოსი, რომელიც ხის ფეხებზე დგას, დაცემისას ქვეშ ბევრს მოიყოლებს. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა გადარჩენაა. გახსოვთ, როგორ ჩარეცხა მიშამ სიტყვიერად თავის დროზე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ელიტა ხელოვნურად. დღეს რეალურად მიშას პოლიტიკურ იდეოლოგიური ელიტა გახლავთ ჩარეცხილი. ოღონდ ეს ბუნებრივად, კანონზომიერად მოხდა. აი, ამ პროცესების მომსწრე ვართ. ყოველდღე ღმერთს ვთხოვ, გარშემო ომი არ დაიწყოს და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო როგორმე ამ განსაცდელს ჩამოყალიბდა, რაც სირცხვილია. ამ ადამიანებმა საკუთარი ვერაფერი შექმნეს, არადა სტარტი ჰქონდათ, მხარში დაუდგნენ, გრანტები მიიღეს და მერე დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყვნენ. პრაქტიკულად, ჩვენთან ენჯეოპარაზიტები ჩამოყალიბდნენ. სახელმწიფოს შენი განსხვავებული აზრით განვითარებაში უნდა მიეხმარო, კი არ უნდა ებრძოლო. სამწუხაროდ, აქ ენჯეოს იდეა მთლიანად დამახინჯდა. ეს ადამიანები მერე კერძო სექტორში, ბიზნესში კი არ წავიდნენ, არამედ პარაზიტებად დარჩნენ. იცით, რატომ? — იმიტომ, რომ ისინი ჩვეულებრივ ლენინის პროფესიონალ რევოლუციონერებად ჩამოყალიბდნენ. დიახ, ჩვენი ენჯეოების ძალიან დიდი ნაწილი პროფესიონალი რევოლუციონერები არიან. ისინი ენჯეოების საფარქვეშ არიან, სხვა ქვეყნის ინტერესებს ახორციელებენ და საკუთარ სახელმწიფოს ვნებენ. ანუ, უნდათ საქართველო ისე განვითარდეს, როგორც ეს დამკვეთს სურს. ამ პრივილეგირებულ რევოლუციონერებს ინახავს არა მათი პარტია, არამედ სხვა ქვეყნები, რათა ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენონ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ის, რაც იუპიტერს ეპატიება - არ ეპატიება ხალხს

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა, რასაც ოპოზიციისა და ოპოზიციური არხების მხრიდან პროტესტი მოჰყვა...

— ვინ გამოთქვამს პროტესტს? — დაინტერესებული მხარე და საქმეში ჩაუხედავი, დილეტანტი ადამიანები. სამწუხაროდ, დღეს მედია, ოპოზიციონერი პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამოყენებულია როგორც ზეწოლის, ხალხის დაბულინგების იარაღი. დიახ, „ბულინგის ინსტიტუტი“ საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს. მედიიდან სიცრუის, ცილისწამების ნიაღვარი, დაუსაბუთებელი ბრალდებები მოდის. სანამ 2004 წელს სააკაშვილი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონს მიიღებდა, საკმაოდ ლიბერალური კანონი გვქონდა. ნაცებმა ბევრჯერ დაუშვეს მედიასთან შეცდომა. ამისთვის მხოლოდ „იმედის“ დარბევის მაგალითიც კმარა. არც ფოტორეპორტიორების საქმე უნდა დავივიწყოთ. დღეს რა ხდება? ჩვეულებრივი ადამიანი თუ ამოიღებს ხმას, მაშინვე იჭერენ, ჟურნალისტი კი „ზეციური მანანაა“. თუ ცილისწამების გამო იჩივლე, თავად უნდა ამტკიცო, რომ ესა თუ ის ქმედება არ ჩაგიდენია. სხვა ქვეყნებში ცილისწამებაზე პასუხს მკაცრად გაგებინებენ. ანუ, ის რაც იუპიტერს ეპატიება, ხალხს არ ეპატიება. ხალხი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ადამიანია, იუპიტერი — ჟურნალისტი.

ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ჟურნალისტიკა დემოკრატიის მოდარაჯე ძაღლია და როგორც კი რამეს შენიშნავენ, მაშინვე ყეფა უნდა დაიწყონ. მედია კონკრეტულ პირს დაადანაშაულებს: კორუმპირებულია, პრორუსიაო — იარლიყს მიაწებებს და მორჩა. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ცილისწამებას ალტერნატივა არ გააჩნია. სად უნდა ამტკიცო შენი სიმართლე? ვერსად ხომ. ეს მედიის ხელში სერიოზული მექანიზმია, უდანაშაულო ადამიანი კი დაუცველი რჩება. არადა, ევროკონვენციის მიხედვით, ადამიანის ღირსებისა და პატივის შელახვა დაუშვებელია. ამაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, შესაბამისი კანონმდებლობით ადამიანის ღირსებასა და პატივს უნდა იცავდეს.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს მივესალმები. ცილისწამება, ცრუ ბრალდებები, უხამსი გამონათქვამები უნდა შეწყდეს. ბუნებრივია, ეს არ მოსწონს იმ ხალხს, მედიასაშუალებებს, რომლებიც უხამსობას იარაღად იყენებენ. მათ ტელევიზიებს ვერც უწოდებ, ისინი ოპოზიციის პარტიული უჯრედები არიან. ამიტომ ცვლილებები, რაც პარლამენტმა კანონში დაამტკიცა, აუცილებლად განსახორციელებელი იყო. კანონმდებლობა იმდენად გამართული უნდა იყოს, მედიას საშუალება არ უნდა ჰქონდეს, ტყუილი დაგაბრალოს, ცრუ ინფორმაციები გაავრცელოს და ა.შ. ცილს რომ დაგწამებენ, მერე რა ხდება? — მიდიხარ სასამართლოში, წერ საჩივარს, მაგრამ პროცესი წლობით გრძელდება და როცა გამამართლებელ გადაწყვეტილებას გამოიტანენ, ეს თემა უკვე აღარავის ახსოვს. ასე მოხდა მინდია უგრეხელიძის შვილთან დაკავშირებით, რომელიც საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი იყო და ტელევიზებმა ისეთი „ბრალდებები“ წაუყენეს, რომ მან სამსახური დატოვა, თანამდებობიდან გადადგა. ორი წლის მერე სასამართლომ იგი ამ საქმეში გაამართლა, მაგრამ რა მერე? სამსახურში აღარ აღადგინეს, იქ უკვე სხვა პირია დანიშნული, ვინ გაიგო სიმართლე, ადამიანი ლაფში ამოსვარეს და ვითომც არაფერი! მინდია უგრეხელიძის შვილი შეურაცხყოფილი, სამსახურიდან გამოგდებული, განადგურებული აღმოჩნდა ვიღაცის პოლიტიკური ინტერესის გამო და თავიც ვერ დაიცვა. შეიძლება, ასეთი მსხვერპლი ბევრია. ეს, უბრალოდ, გახმაურებული საქმე იყო და გამახსენდა. თავის დროზე მეც და უამრავმა ჩემმა კოლეგამ, უფლებადამცველებმა, ადამიანებმა, რომლებიც საჯარო სივრცეში ჩვენს პოზიციებს ვაფიქსირებთ, იგივე გადავიტანეთ. ნაცების დროს ჩვენ წინააღმდეგ უამრავი მსგავსი ბულინგის შემთხვევა იყო, ჩვენ კი თავს ვერ ვიცავდით. ახლა კი ეს შესაძლებლობა ჩნდება.

თუ არგუმენტირებული მტკიცებულება გაქვს ამა თუ იმ პირის კორუმპირებულობის შესახებ, კიდევ გასაგებია ამის გასაჯაროება. მაგრამ ხელთ რომ არაფერი გაქვს და, უბრალოდ, გინდა, ადამიანს ჩირქი მოსცხო, ცრუ იარლიყი მიაწებო, რადგან მედია შენს ხელშია და მას ბოროტად იყენებ, ეს დანაშაულია. მაშინ რა ვუყოთ ევროკონვენციის იმ მუხლს, რაზეც მოგახსენეთ — ადამიანის ღირსება და პატივი პატიმრისთვისაც კი ხელშეუხებელი უნდა იყოს. თავისუფლებაზე მყოფ ადამიანს ღირსებას და პატივს ულახავენ, ის კი თავს ვერ იცავს. აი, ამ მოცემულობაში ვართ.

მედიის წარმომადგენლებს რა უფლება აქვთ, ცრუ ბრალდებებით ადამიანს განაჩენი გამოუტანონ მაშინ, როცა, თუ სისხლის სამართლის საქმე ჩადენილია, მაგრამ პროკურატურა დანაშაულს ვერ ასაბუთებს, სასამართლო პირს სახლში უშვებს. ეს ქეციანი ტელევიზიები რას წარმოადგენენ, რომ დაუსაბუთებელი ბრალდებებით ადამიანს საზოგადოებაში ჩირქს სცხებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით!

— ხელისუფლების თქმით, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით რეკომენდაციის მე-7 მუხლი შესრულდა.

— ღრმად ვარ დარწმუნებული, კანდიდატის სტატუსს მივიღებთ. ეს თორმეტი რეკომენდაცია აქ დესტაბილიზაციის გამოსაწვევად არის მოფიქრებული. დასავლეთს ეგონა, ეს ყველაფერი რევოლუციის მოსაწყობად გამოდგებოდა, მაგრამ ამან არ იმუშავა. **ევროპას სტატუსის გარეშე ჩვენი დატოვება არ აწყობს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს პირდაპირ კარტბლანშს აძლევს. თან მაშინ, როცა საქართველო აბსოლუტურად სხვა მასშტაბის ქვეყანა ხდება, მთელი მსოფლიოს ინტერესები ჩვენს ქვეყანაზე გადის.** ასეთ დროს ევროპას ჩვენი გადამტერება, ნამდვილად არ აწყობს. სტატუსზე უარი რომ ვთქვათ, ძალით მოგვცემენ. ვიმეორებ, გარკვეულ ძალებს, რომლებიც ამ კრიმინალური ოპოზიციის უკან დგანან, ქაოსის შექმნა უნდოდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— ოპოზიციურ არხებს უხამსი ლექსიკის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა, სანქციები დაუწესდეთ და ლიცენზიაც კი ჩამოერთვათ.

— დღეს ვერცერთი ოპოზიციური არხი ვერ იტყვის რომ მათი უფლებები იზღუდება. ასე რომ, მათი პროტესტიც ჩაივლის. ეს ტელევიზიები გაჰყვირიან: დასავლეთმა მოგიწოდათ, მედიაგარემო გაუმჯობესეთ, თავისუფლებას ნუ უზღუდავთო. აქვს თუ არა მედიის ქმედებებს რაიმე კავშირი რეალურ თავისუფლებასთან? რა თქმა უნდა, არანაირი.

ასეთ თავისუფლებას, უფრო სწორად, აღვირახსნილობას, რითაც ოპოზიციური ტელევიზიები მაუწყებლობენ, მსოფლიოში ვერსად ნახავთ. და ესენი წუწუნებენ უფლებების შეზღუდვაზე?! ვიმეორებ, ასეთი აღვირახსნილი მედიაგარემო არსად არის. დამისახელონ ქვეყანა, რომელსაც ჩვენზე უფრო ლიბერალური მიდგომები აქვს მედიასთან დაკავშირებით. შეხედონ, რა ხდება უკრაინაში, იქ ოპოზიციური არხები საერთოდ აკრძალულია.

— ოპოზიცია ყველაფერს რუსულ კანონად ნათლავს. ასე იყო გამჭირვალობის, მანიფესტაციების კანონის შესახებ. ახლა მაუწყებლის შესახებ კანონზეც იგივეს ამბობენ: ეს კანონი რუსული მოდელის შესაბამისიაო.

— თავის დროზე მტრის ხატის შექმნაში დასავლეთი იყო ჩართული. მართალია, რუსეთს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ ამას უფრო ღრმა ფესვები აქვს, რასაც მსოფლიო დონეზე დარეგულირება სჭირდება. ისეთი პატარა ქვეყნები, როგორებიც საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანია, დიდი სახელმწიფოების ინტერესების გამო მსხვერპლი ხდებიან. როგორც პატარა ქვეყანა, ვიჩაგრებით და მერე რუსეთი ჩვენზე იყრის ჯავრს, როცა დასავლეთი აქ თავის გავლენების გაძლიერებას ცდილობს. NATO-ს წევრობას რომ ვაპირებთ, ამ დროს ჩვენ ვზარალდებით, შედეგად კი რუსეთი ტერიტორიებს გვართმევს. მერე რა ხდება? ვიძახით: პროდასავლელები ვართო და ამით მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ ტერიტორიები დავკარგეთ. და, რაც მთავარია, დასავლეთის ჩარევით ერთი ლტოლვილიც კი ვერ დავაბრუნეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. უცხოელები მავთულხლართებთან ჩადიან, სურათებს იღებენ და უკან ჩამოდიან. რატომ ჩადიან იქ, რა შედეგის მომტანია ეს, მიზანი რა არის, აბსოლუტურად გაუგებარია. იქ ჩასვლის ნაცვლად, ერთი ოჯახი გადაიყვანე, დააბრუნე აფხაზეთში, გაუწიე მონიტორინგი, რომ იქ არ მოხდეს მისი უფლებების შელახვა და იქ მშვიდად ცხოვრების საშუალება, მიეცეს. დელეგაცია არ ჩამოდის ისე, რომ მავთულხლართებთან არ გავარდეს და სურათი არ გადაიღოს. რა შედეგზეა ორიენტირებული? ფაქტია რომ ჩვენი პოლიტიკაც შესაცვლელი, გადასახედია.

მსოფლიო რომ დაწყნარდება და 2024 წლის არჩევნები ჩაივლის როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში და ევროკავშირში, მერე უფრო გამოჩნდება გზა, როგორ უნდა განვითარდეს მსოფლიო. კარგი ის არის, რომ ამ ცხელ პერიოდში, როცა ჩვენ ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი უკიდია, ომში ვერ ჩაგვითრიეს. ვცდილობთ, არჩევნებიც მშვიდობიანად ჩავატაროთ, თუ ამის საშუალებას ოპოზიცია და ის ბნელი ძალები მოგვცემენ, ვინც ამ კრიმინალურ ძალებს ზურგს უმაგრებენ. ესაა დღეს ჩვენი პრობლემა — შიდა აგენტურული ძალები, რომლებიც ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მუშაობენ და გარე ძალები, რომლებიც ამ დესტრუქციულ თავიანთ აგენტურას ამუშავებენ იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც თავად ვერ მართავენ.

ეს კრიმინალური, დესტრუქციული ძალა, აგენტები არიან, რომლებიც მათ დაკვეთებს ასრულებენ, ვისაც საქართველო სჭირდებათ როგორც ტერიტორია ქართველების გარეშე. 2024 წელს თუ ყველაფერი მშვიდობით დასრულდა, ეს აგენტურა გაიშიფრება. რაც მთავარია, კრიმინალი ხელისუფლების მხრიდან დაუსჯელი აღარავინ დარჩება. მანქანებს აფეთქებენ, მოლოტოვის კოქტეილებს ისვრიან და მერე თავისუფლად დადიან. მხოლოდ ერთი კაცი ზის ციხეში და იმასაც გამოშვებას უპირებენ. იმის შიშით, რომ ამ მსოფლიო ბოროტმა ძალამ, რომელმაც ლიბერალობის მანტია მოისხა, არ აგვაფეთქოს და აქ ომი არ დაიწყოს, ფაქტობრივად, კრიმინალებსაც ვერ ვიჭერთ და რეაგირებას ვერ ვახდენთ. ეს საკითხი არჩევნების მერე დალაგდება და დამნაშავეების დასჯაც შესაძლებელი გახდება.

ყველაფერს იზამენ, რომ ახალ მმართველობას დანგრეული ქვეყნები, ეკონომიკები დაახვედრონ, ჩამოშალონ სახელმწიფოები. მთავარია, ხელისუფლება რამდენად მობილიზებული, ძლიერია, რათა ასეთი დარტყმები მოიგერიოს. **ოპოზიცია და მისი დამკვეთები შემოდგომის ბუზებივით გამწარებულები არიან.** ვგულისხმობ, მსოფლიო ნეოლიბერალურ კრიმინალურ ძალებს, რომლებიც ქართული ოპოზიციის — ამ კრიმინალების უკან დგანან. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ ლილუაშვილის გამოსვლა პარლამენტში. მან არგუმენტირებულად ისაუბრა იმ საფრთხის შესახებ, რასაც გვიმზადებენ. როცა უშიშროების სამსახური იძულებულია, ეს ინფორმაციები გაასაჯაროვოს, ესე იგი, ქვეყანაში საქმე სერიოზულადაა. ეს ცნობად მივიღოთ და ვიფიქროთ, თავი როგორ დავაღწიოთ ამას. პირდაპირ ტრენინგებს ატარებენ: როგორ გამოიყენონ პარლამენტის დასანგრევად ბულდოზერები. აი, რას ასწავლიან ეს „კანვასები“ და „USAID-ები“. მოსასმენადაც შემზარავია. მნიშვნელოვანია, საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეები არსებობს ამ კრიმინალი ოპოზიციის მხრიდან. საზოგადოებაც უფრო ფრთხილად იქნება. ეს პრევენციაა, რათა ამ ხალხმა მსგავსი რამ ვეღარ გაბედოს.



თამარ შველიძე
555 23 28 24

„სტატუსმინიჭებული“ უკრაინა

სამხედროებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთიდან ერთი მესამედი გამქრალია

უკრაინის ბიზნესში კორუფციასთან დაკავშირებით განწყობები გაუარესდა. მაშინ, როდესაც რუსეთთან ომს ეწირებიან უკრაინელი სამხედროები და მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის ბავშვები, უკრაინის ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანი კოლოსალურად მდიდრდება. ამ მხრივ გამოირჩევა საპარლამენტო ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამია, რომელმაც უკრაინული მედიის ინფორმაციით, ფინანსური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, რაც კორუფციულ მაქინაციებს უკავშირდება და საერთო ჯამში 16,2 მლნ დოლარს შეადგენს.

როგორც ირკვევა, არახამია მოელაპარაკა პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალს და მათი ერთობლივი მფარველობის ქვეშ მყოფმა „ინდუსტრიული ინოვაციების ჯგუფმა“ ფაქტობრივად, პოლიგრაფიული წარმოების სფეროში სრული მონოპოლია მოიპოვა. მათ მთლიანად დაიქვემდებარეს პოლიგრაფიული კომბინატი „უკრაინა“, რომელიც ყოველგვარი ტენდერებისა და კონკურსების გარეშე, უკონკურენტოდ იღებს ყველა სახელმწიფო შეკვეთას და მის ხელშია ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტის ბეჭდვა, დაწყებული პირადობის მოწმობებიდან, დასრულებული საგადასახადო დოკუმენტაციისა და ნოტარიული აქტების შაბლონებით.

ამ მონოპოლიის პარალელურად, არახამიას მფარველობის ქვეშ იხსნება ჩრდილოვანი ბიზნესი, რომელიც არალეგალურად ბეჭდავს გაყალბებულ ოფიციალურ დოკუმენტებს და სარფიან ფასებში ასაღებს. ცხადია, გადასახადებს ეს არალეგალური სტამბები არ იხდიან, სამაგიეროდ, მოგებას მფარველებს უნაწილებენ; მორიგი ხმაურიანი კორუფციული სკანდალი არავის უკვირს, რადგან ეს უკრაინის ყოველდღიურობაა და ბევრი სწორედ ამითი ხსნის ფრონტზე წარუმატებლობასაც.

უკრაინაში თითქოსდა ანტიკორუფციული ოპერაცია ხორციელდება, თუმცა, როგორც უკრაინული მედია წერს, გამოძიება მხოლოდ იმ ადამიანების წინააღმდეგ მიმდინარეობს, რომლებიც დაპირისპირებული არიან ზელენსკის გუნდთან. ამის მაგალითია მმართველი პარტიის - „ხალხის მსახურის“ დეპუტატის, ანატოლი გუნკოზის დაკავება, რომელიც ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს. გუნკოზი ბოლო პერიოდში დაუპირისპირდა პარტიის თავმჯდომარე არახამიას, მიზეზი კორუფციული გადაკვეთა იყო.

უკრაინის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნის ალექსეი არესტოვიჩის თქმით, უკრაინაში კორუფციის აქამდე არნახული დონეა, რაც გავლენას იქონიებს კიევისა და ვაშინგტონის ურთიერთობებზე, კერძოდ, ამერიკიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებაზე, რასაც ის აშშ-ში შიდაპოლიტიკურ ბრძოლას უკავშირებს.

„კორუფცია, კორუფცია, კორუფცია, კორუფცია“. თუ ჩვენებს ჰგონიათ, რომ დასავლეთში არაფერი იციან, ეს დიდი შეცდომაა. მათ ყველაფერი იციან. და, რა თქმა უნდა, იმ ქურდობის ბაკქანალიაზეც, რომელიც ჩვენთან არის. კორუფციის ასეთი დონე უკრაინის ისტორიაში, ალბათ, არასოდეს ყოფილა. განსაკუთრებით, როდესაც ამერიკულ ფულს იპარავენ“, - აცხადებს ალექსეი არესტოვიჩი.

უკრაინის საბაჟო სამსახურის განცხადებით, იმ ჰუმანიტარული ტვირთიდან, რომელიც უკრაინის სამხედრო ნაწილებამდე უნდა მისულიყო, ერთი მესამედი დაკარგულია. კერძოდ, 2023 წლის 9 თვის განმავლობაში 9 000 ტვირთიდან დანიშნულების ადგილებამდე 3 000 ტვირთი არ ჩავიდა.! უწყებაში აღნიშნავენ, რომ ასეთი ფაქტების დადგენა შესაძლებელი გახდა სამხედრო ნაწილებში ჰუმანიტარული ტვირთების ჩასვლაზე ერთობლივი კონტროლის დაწესების საშუალებით.

მებაჟეებმა სამართალდამცველ ორგანოებს გაუგზავნეს 387 შეტყობინება ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ასევე შედგენილია 320 ოქმი საბაჟო წესების დარღვევის თაობაზე, სადაც კანონდარღვევის საგანს ჰუმანიტარული დახმარების საქონელი წარმოადგენს.

ანალიტიკოს დავით ქართველიშვილის შეფასებით, საომარი მოქმედებების პარალელურად, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები პრეზიდენტ ზელენსკის გარშემო, ოპტიმიზმის საშუალებას ნამდვილად არ იძლევა და ამას ადასტურებს სექტემბერში აშშ-ში, რბილად რომ ვთქვათ, მისი „ნელთბილი“ მიღება, ოქტომბერში ჯერ რუმინეთის პარლამენტში ზელენსკის სიტყვით გამოსვლის ჩაშლა, ისრაელში მისი ვიზიტისთვის ფაქტობრივი უარის თქმა, მაშინ, როდესაც თელ-ავივს უპრობლემოდ ეწვია რამდენიმე ევროპელი ლიდერი და ამერიკის პრეზიდენტი.

„ზელენსკის მისი ყოფილი სპიკერი არესტოვიჩიც აუჯანყდა, რომელმაც ქვეყანა და მისი ხელისუფლება კორუფციასა და ათას უბედურებაში დაადანაშაულა. აქტიურად მუშაობს მექრთამეობა-კორუფციის გამოვლენის ფრონტზე ამერიკელების მიერ შექმნილი ანტიკორუფციული ბიურო (НАБУ), თვე არ გადის, ხმაურიანი დაჭერების შესახებ ინფორმაცია არ მივიღოთ.

სკანდალის ფონზე დატოვა თანამდებობა თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა, შავი ღრუბელია ჩამოწოლილი არაერთი უკრაინელი მაღალჩინოსნის თავზეც. არანაირ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს უკრაინისთვის განკუთვნილი შეიარაღების ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აღმოჩენა, სადაც ათობით ათასობით რაკეტაზე, უბრალოდ, ისლამური ნახევარმთვარის გამოსახულებაა დატანილი. ამის ფონზე მორიგი კატასტროფაა ქვეყნის საბაჟო სამსახურის ზემოთხსენებული ინფორმაცია, უკრაინაში შემოსულისამხედროებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთიდან ერთი მესამედი გამქრალია.

რა იქნა ამ ტვირთების დანარჩენი 70%, ალბათ, ეს უკრაინის ფარგლებს გარეთ ძიების საგანია“, - აცხადებს ქართველიშვილი.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ამ ყველაფრის ფონზე სავსებით ლოგიკურია აშშ-ის კონგრესის მიერ უკრაინისთვის ახალი სამხედრო პაკეტის გამოყოფის თაობაზე გამოჩენილი სკეპტიციზმი. გარდა ამისა, იგრძნობა ზელენსკისა და მისი სახელისუფლებო გუნდის მიმართ მსოფლიოში დაგროვებული მზარდი უნდობლობა და უკმაყოფილება.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც საბაჟო სამსახური და ვერც ანტიკორუფციული ბიურო ზელენსკის მთავრობის დამაზიანებელ ფაქტებს ასე სააშკარაოზე ვერ გამოიტანდნენ. შეგახსენებთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ეხება „სტატუს მინიჭებულ“ უკრაინას, რომლის ქართველი ფანატიკოსები დეტალურად ებღაუჭებიან ჩვენი ქვეყნისთვის ხელოვნურად თავსმოხვეულ 12-პუნქტიან „ხაფანგს“, - აღნიშნა დავით ქართველიშვილმა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სავალალო სიტუაციაა ზელენსკის კორუმპირებულ ადმინისტრაციაში. ამ ფონზე უკრაინელი მაღალჩინოსნები საქართველოს ისევ მეორე ფრონტის გახსნისკენ მოუწოდებენ. კორუფციის მასშტაბი კატასტროფულია, მისი დონე არ შემცირდება, მაგრამ ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის განცხადებით, არც გაიზრდება, რადგან ეს უკვე წარმოუდგენელია.

„არ შეიცვლება არც ის, რომ დავით არახამია და მსგავსი ნაძირლები ამ ომით კოლოსალურ, თუმცა სისხლიან ფულს აგროვებენ. რა გასაკვირია, რომ საკაშვილი მწარედ დასტირის თავის ბედს, რადგან ამ გაგანია შოვნაში ტყუილად ცდება და მუქთახორობს, როგორც თავად აცხადებს - „დროს ფუჭად აკარგვინებენ“ „ვივამედში“ კოტრიალით. არადა, რამდენს იშოვიდა და ვინ იცის, ეგება მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებებით „შაჰის ცოლობისთვის“, ე.ი. ზელენსკის პრემიერ-მინისტრობისთვისაც კი გამოეკრა ხელი“, - გვითხრა დავით ზარდიაშვილმა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში დავით კუხალაშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში არსებული ვითარება გარკვეული დემორალიზაციის შედეგია. მოწინააღმდეგე მხარეს გააჩნია სადაზვერვო შეღწევადობა უკრაინის ხელისუფლებაში და თუ ეს პროცესი კომბინირებულად განვითარდება, ნიშნავს, რომ ეს უკრაინის ისედაც უმძიმესი მდგომარეობისთვის დამანგრეველი ზემოქმედება იქნება.

„რაც შეეხება კორუფციას, ეს თემა მშვიდობიანობის დროსაც საკმაოდ ფრთაგაშლილი იყო უკრაინაში. კორუფცია იყო, როდესაც ზელენსკი მოვიდა ხელისუფლებაში და, შესაბამისად, ამ კორუფციამ კიდევ უფრო გაშალა ფრთები საომარი მოქმედების მიმდინარეობისას. არსებობს ასეთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ სახელმწიფოში, სადაც კორუფციის მასშტაბები უკვე არსებობს, მის გაფართოებაზე ფიქრობენ დაინტერესებული სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურები, ისევე როგორც ეს ხდებოდა ჩვენთან 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს.

არა მარტო სამდღიანი ომის, არამედ შემდეგი პერიოდიც კორუფციის უფრო გაფართოებისთვის შესანიშნავი დრო იყო. ომი ხელისუფლებამ საკუთარი მადის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გამოიყენა. ვფიქრობ, რომ უკრაინაშიც მსგავსი სიტუაციაა. უფრო მეტიც, პოლიტიკური, სამხედრო და კრიმინალური ელიტა ემზადება იმისთვის, რომ საომარი მოქმედების შემდეგ, ეგრეთ წოდებული მშენებლობის პროცესში, მნიშვნელოვანი თანხების გათეთრება განხორციელდეს. ასე რომ, კორუფციის მასშტაბის ზრდას უკრაინაში კიდევ უნდა ველოდოთ“, - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დავით კუხალაშვილმა.

ანი გოდერძიშვილი

შეთე გულუხაიძე – ორი ხმლით მებრძოლი ქართველი

ამასწინათ ვიღაცამ ახსენა „ორი ხმლით მებრძოლი მფრინავი ქართველები“, მაგრამ მერე ისე მოკლედ და უღიმღამოდ ისაუბრა, მსმენელისთვის არაფერი იყო საინტერესო.

შეთე გულუხაიძის შესახებ რაც წაკითხული მაქვს, ყველგან ლეგენდად არის წარმოჩენილი, მე კი მის შესახებ ამბები სხვაგვარად ვიცი.

ეგრეთ წოდებულ ლეგენდაში არის ერთი-ორი სადავო ნიუანსი. მე შეთეს შესახებ ბიძაჩემისგან გავიგე (საავადმყოფოში მწოლიარემ წერილობით მომითხრო და გადმომცა), მან კი სოფლის უხუცესებისგან, დაახლოებით 1950 წელს, რომლებიც იმ დროს ას წელს იყვნენ მიტანებულები — დიკლოელი ხაპრო ბეწუნაიძისა და ბერიანთ ლაზარესგან. თუ უკან გადავთვლით ამბის მთქმელების ასაკს და ვიცით, რომ შეთე 1870 წელს გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, ვფიქრობ, ხანდაზმულ მთხრობელებს დაეჯერებათ, რაში სჭირდებოდათ, ფაქტობრივად, შეთეს თანამედროვეებს ლეგენდების შეთხზვა (ლაზარესგან მომდინარე ვიცი ისიც, რომ შეტაკების დროს თავგადაჩეხილ დიდოს თავისივე ამხანაგებმა, სისხლდენის შესაჩერებლად, მარილი ჩააყარეს ჭრილობაში, შეუხვიეს და ასე წაიყვანეს დაჭრილი).

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მოკლედ განვმარტავ: „დიდოელები“ არიან იგივე ცეზები, საკუთარი სახელით „დიდ“ და ცხოვრობენ დაღესტანში; „ლეკი“ — დაღესტანში მცხოვრები. დაღესტანში ჯერ მხოლოდ 25 დიალექტი და ბევრი ტომობრივი გაერთიანება აქვთ. ამიტომ, კახეთის მხარეს ყველა თავდამსხმელი ლეკად მოიხსენიებოდა, ხოლო თუშები დიდოებად მოიხსენიებდნენ მეზობელ თავდამსხმელებს, მთლიანობაში კი, დიდოელი ლეკიც და ლეკიც, ყველა ლეკი იყო, ანუ დაღესტნელი.

●

თუშების ლეგენდარული გმირი, შეთე გულუხაიძე ბავშვობიდან ობლობასა და გაჭირვებაში გაიზარდა. ახალდაოჯახებულ შეთეს მამას შეკამათებისას საკუთარი ძმა შემოაკვდა, რის გამოც თემმა სოფლიდან მოკვეთა. მოკვეთილი თუშეთის სოფელ ქუმელაურთადან ხევსურეთში გადაიხვეწა და სოფელ არდოტში დასახლდა ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად, მაგრამ იმ ზამთარსვე გარდაიცვალა. ბავშვის გაჩენის შემდეგ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილმა ქალმა ბავშვი ხურჯინში ჩასვა, საჯიხვე ბილიკებით ხევსურეთიდან პირიქითა თუშეთში დაბრუნდა და საკუთარ დას შეეხიზნა სოფელ გირევში (სხვა ვერსიით, სოფელ ჭონთიოში). შეთეს ადრეულ ბავშვობაში დედაც გარდაეცვალა, მოგვიანებით კი დეიდაც. მიუხედავად ობლობისა და შიმშილ-სიტიტვლისა, შეთე გაიზარდა, ცოლიც მოიყვანა და მისი უდრეკი ხასიათისა და საოცარი მონადირის სახელი იმდენად გასცდა სოფელს, რომ ქუმელაურთამდე ჩააღწია. თანასოფლელებმა შეთეს შემუთვალეს, თემსოფელი შენ არაფერს გერჩის, მოდი სოფელში და შენს ფუძეს დაუბრუნდიო. ასე დაბრუნდა შეთე სოფელში. ამ დროიდან იწყება მისი სახელგანთქმულობა არა მხოლოდ თუშეთში, არამედ მთელ საქართველოსა და დაღესტანში, როგორც უშიშარი და გულადი მეომრისა.

შეთეს ჰქონია ძალიან ძლიერი ხმა და ბრძოლას ყოველთვის საზარელი კივილით იწყებდა. კიოდა მაშინაც, როცა ბრძოლაში გახურდებოდა.

ერთხელაც, შეთე თავისი რაზმით ომალოს მოპირდაპირე მთებში, ორეთის ახლოს მტრის მრავალრიცხოვან დაბანაკებულ ლაშქარს გადაჰყრია. შეთეს თავისი მოკლე ხმალი უშიშვლია და შემზარავი კივილით მტრის ბანაკში შევარდნილა. მოულოდნელობისგან დაბნეული ლეკები ორად გაყოფილან, ერთ ნაწილს ტყისთვის შეუფარებია თავი და გაქცეულან, მეორე ნაწილი კი ამოხოცეს. გასულა დრო და ლეკების ლაშქრის ბელადს უთქვამს: ამ მამაძაღლმა შეთემ ჩემი ლაშქრის ნაწილი ცხვრის ნოტოსავით მოსხლიტაო. („ნოტო“ — ამ სიტყვას მეცხვარეები იყენებენ. როდესაც სურთ, რომ ფარას ნაწილი ჩამოაშორონ, რამდენიმე კაცი ფარას სასურველ ადგილზე სტვენა-კივილით გადაჭრის. ჩამოშორებულ ნაწილს ჰქვია ნოტო).

აღსანიშნავია, რომ უკვე ასაკში მყოფიც კი, შეთე პირდაპირ არ ეკვეთებოდა მტერს, წინამაყალით გადაევლებოდა მტრის მოწინავე რიგებს და იქვე დაბზრიალდებოდა ორი მტკიცე ხმლით, რომელსაც თვითონ აწრთობდა და არასდროს უმტყუნებდნენ, არ ტყდებოდნენ. შეთე იმდენად სწრაფად იქნევდა ხმლებს, რომ მასთან მიკარება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო, ცოცხალ ხორცსაკეპს ემსგავსებოდა.

(გადმოცემის მიხედვით, მსგავს ტექნიკას პირადად დავით აღმაშენებელი იგონებდა, ხვეწდა და ნერგავდა „მეფის მონასპა“, სამეფო გვარდიაში, თანამედროვე სპეციალური დანიშნულების რაზმს რომ მივუსადაგოთ. სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის რჩეულმა გვარდიამ მის მიერ წარმოებულ სამოცივე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და მთლიანი დანაკარგი 350 მეომარს არ აღემატებოდა. ეს რიცხვი იმ ფონზე, როდესაც ამ სამოც ომში, მტრის, სულ მცირე, 500 ათასი მეომარი გაანადგურეს. ყველაზე დიდი დანაკარგი „მონასპამ“ დიდგორის ომში მიიღო, როდესაც 200 მებრძოლი წინასწაგანზრახულ სიკვდილზე წავიდა და მტრის რიგებში შევიდნენ როგორც მოღალატე ყივჩაღები. როდესაც მტრის შუაგულში მიაღწიეს, ხმლები იშიშვლეს და თურქებს დაერივნენ. მტრის ბანაკში ამან გამოიწვია პანიკა, არევ-დარევა და ომი საქართველომ მოიგო. ორასივე მეომარი დაიღუპა, მაგრამ 7000-მდე დამპყრობლის მოკვლა შეძლეს. „მონასპა“ სამოსითაც გამოირჩეოდა. თურქებმა მათ „მფრინავი გურჯები“ შეარქვეს და მათი გამოჩენისას წინააღმდეგობის გაწევის გარეშე გარბოდნენ. მისთვის არავის უსწავლებია, მაგრამ ასე იბრძოდა შეთეც).

●

ერთ დღეს შეთესთვის უთქვამთ, მხატვარს მოგიყვანთ, დაღესტანში წაიყვან, სოფელი ხოტრახო უნდა დახატოსო. შეთემ ზედმიწევნით კარგად იცოდა, როგორც თუშეთის, ისე დაღესტნის მთები და ბილიკები. წაუყვანია შეთეს მხატვარი ხოტრახოს სიახლოვეს. მხატვარმა შეარჩია ადგილი და დაუწყია ხატვა, ხატავდა მთელი დღე, შეთე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში იდგა და ხან ბილიკებს ათვალიერებდა, მტერი რომ არ მიპარვოდათ და ხან თამბაქოს აბოლებდა. საღამოს მხატვარს შეთესთვის თხუთმეტი თუმანი მიუცია და წასულა. გასულა რაღაც ხანი და შეთე რაფიელ ერისთავს შეხვედრია შემთხვევით. სასაუბროდ რომ ჩამომსხდარან, შეთეს შეუჩივლია, ასე იყო ეს ამბავი და იმ კაცმა ფული რაში მომცა, არც არავინ დაგვსხმია და არც არავინ მომიკლავსო. ამაზე რაფიელს ბევრი უცინია და როდესაც ამას სხვებს უამბობდა, მაშინაც ეცინებოდა.

ფიროსმანს დახატული აქვს სურათი, სადაც აღბეჭდილი არიან შეთე და გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც შეთე შამილის სოფლის, გუნიბის ბილიკებს უჩვენებს.

●

შეთემ ახალგაზრდობაშივე გაითქვა სახელი როგორც საკვირველმა მონადირემ და მელეკემ. მისი თანამედროვეთა გადმოცემით, შეთეს სურათები მაშინდელ სასტუმრო „თბილისსა“ და მიხეილ ვორონცოვის კაბინეტში ეკიდა.

ერთხელ, მთავარმართებელს (სხვა ვერსიით, იმპერატორი ნიკოლოზ I) სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად თუშების ასეულიც მიუწვევია. როდესაც მიხეილ ვორონცოვი („ყველაზე კარგი რუსი“) მებრძოლთა კოლონებს ათვალიერებდა, შეთე უცვნია, მისალმებია და შექების ნიშნად მხარზე ხელი რამდენჯერმე მსუქად დაურტყამს. ამ დროს შეთეს თვალი მისი ხმლისკენ გაჰქცევია, რაც არ მოეწონა მთავარმართებელს და საქილიკოდ უკითხავს: ასეთი მოკლე ხმლით როგორ ომობო? შეთეს უპასუხია: ხმლის დაგრძელება თუ გინდა, ფეხი წინ უნდა გადადგა და დაგრძელდებაო.

ვორონცოვს მოსწონებია მისი პასუხი, რადგან ესეც მის სიმამაცესა და ჭკუამახვილობაზე მიანიშნებდა. ახლა სხვა კითხვა დაუსვამს:

— ყველა ამბობს, მე ამდენი კაცი მყავს მოკლული, მე — იმდენი, შენ რამდენი კაცი გეყოლება მოკლული?

— თორმეტი! — მოკლედ უპასუხა შეთემ.

— მეტი არა? — გაოცებულა მთავარმართებელი.

— მე თორმეტი საუკეთესო მეომარი მოვკალი. ისინი ჩემთან ხმალდახმალ პირისპირ მოვიდნენ და თვალებში ჩავხედე. ზოგიერთის სახე ახლაც მახსოვს და არც მინდა დავივიწყო. სხვა რამდენი უჯიშო მომიკლავს თოფითა თუ

ხმალ-ხანჯლით, ან მიწაზე წყვეტითა და შემონარცხებით, არც დამითვლია.

ხალხმა კი ასეთი ლექსი გამოუთქვა:

„ჩამოდიოდნენ თუშები ხელმუხლით ჩაშავებულნი,

სამჯერა ჰქონდა შეთესა აზარი ათავებული,

წელზევით ვერვინ შემახსნა ფრანგული გაფხავებული.“

(„აზარი“ — მაშინდელი წესის მიხედვით, მონადირე ან მელეკე (მეომარი), რომელიც ერთი იარაღიდან ას სულს მოკლავდა, ამ იარაღს გარკვეულ დრომდე მიწაში მარხავდა და სხვა იარაღით აგრძელებდა ბრძოლა-ნადირობას. გაფხავებული — ალესილი.)

შეთეს სახელით დაღესტანში დედები ატირებულ ბავშვებს აშინებდნენ: გაჩუმდი, თორემ შეთეს დავუძახებ, აგე, კარებთან დგას და წაგიყვანსო.

მოარულ ამბად დადიოდა: თურმე დიდო ქალს ღამე ბავშვი აუტირდა და ვერაფრით აჩერებს. ბოლოს ქმარს უთხრა ბავშვის გასაგონად: ადექი, კაცო, სარკმელში გაიხედე, მანდ შეთე იდგება, უთხარი, შემოვიდეს და ეს ბალღი წაიყვანოსო. ამდგარა კაცი და მართლაც გაუყვია სარკმელში თავი და შეთესთვის დაუძახია. დგას სარკმელში თავგაყოფილი და ხმას აღარ იღებს. ცოლს კალთაზე მოუზიდია და ოთახში უთავო სხეული გადმოვარდნილა. თურმე გარეთ მართლა მდგარა შეთე, ელოდებოდა როდის გამოვიდოდა ეს კაცი სახლიდან, მაგრამ ლოდინი აღარ დასჭირდა, სარკმელშივე წაასხიპა თავი.

●

შეთეს სამი ვაჟი ჰყოლია: დავითი, ხუტო და ქავთარი. მამას ბალღები ყველა ბრძოლის დროს თან დაჰყავდა, ცის ქვეშ დაიზარდნენ. ისინიც მამასავით უშიშრები ყოფილან. მათი ვაჟკაცობა ზოგჯერ ისე ახარებდა შეთეს, მისი მკაცრი სახე ვეღარ მალავდა, მაგრამ სიტყვით არ შეაქებდა, სხვის სიმამაცესა და თავგანწირვაზე კი ხშირად ლაპარაკობდა და ცრემლსაც არ მალავდაო. სამივე შვილი მამის თვალწინ დაიღუპა ბრძოლაში. როდესაც მისი უფროსი შვილი, მტრის ტყვიით დაჭრილი დათო ბრძოლიდან გამოუყვანიათ, მამას იგი ბრძოლის დამთავრების შემდეგღა უნახავს, საღამოს. ოთახში შესულ თოფზე დაყრდნობილ შეთეს დიდხანს უცქერია სიკვდილთან მებრძოლი შვილისთვის და მერე უკითხავს:

— მე ვაჟკაცი გამიჩენიხარ თუ დედაკაცი...

— ვაჟკაცი, — უთქვამს წყნარად შვილს.

— მაშ რა გაკვნესებს?

ამის შემდეგ შვილს აღარ დაუკვნესია, უხმოდ დაულევია სული.

შეთეს გმირობების შესახებ მისი თანამედროვე და დიდოეთის ექსპედიციის ომების აღმწერი, რუსი სამხედრო ჟურნალისტი ვოლკონსკი „კავკაზსკი სბორნიკში“ წერდა. ცნობილია, რომ ეს ჟურნალისტი აღფრთოვანებული იყო შეთეთი და მისი ბრძოლების შესახებ არაერთი ისტორია შემოგვინახა. შეთეს შურისძიება შვილების მკვლელებზეც ამ რუსი ჟურნალისტის შემონახულია. თანამებრძოლებთან ერთად შეთე თავს დაესხა უმცროსი შვილის მკვლელის სოფლიდან გახიზნულ ხალხს, ბანაკი გაანადგურა და ადგილზე დარჩა რვა მოკლული, მათგან ორს მარჯვენა ჰქონდა მოჭრილი. ეს იყო შეთეს შურისძიება. ცნობილია, რომ შეთემ თავისი ორი შვილი ერთად მოასვენა და დაკრძალა მამაპაპისეულ სასაფლაოზე.

ვოლკონსკი წერს, რომ შვილების სიკვდილის შემდეგ სრულიად შეცვლილა შეთეს დამოკიდებულება ლეკების მიმართ. თუ მანამდე ხშირად ვნახავდით რომელიმე თემის ლეკთან ჩამომჯდარ და მომუსაიფე შეთეს, შვილების სიკვდილის შემდეგ შეთესთვის ყველა ლეკი მისი ხელით უნდა მომკვდარიყო.

რაც შეეხება სადავო საკითხს, რომელიც ალექსანდრე დიუმას „კავკასიაშიც“ არის, შეთეს მესამე შვილს ეხება.

ალექსანდრე დიუმა საქართველოში 1858 წელს იმყოფებოდა. შეთე გარდაიცვალა 1870 წელს, ანუ იმ დროს შეთე ცოცხალია და მეომარია. ასეთი ლეგენდა, რაც ბიძაჩემმა ამბად იცოდა, ხალხში რატომ იყო გავრცელებული და დიუმასთან რატომღა უნდა მოხვედრილიყო, აგერ, ცოცხალი კაცი და ჰკითხე, გიპასუხებს — ძალიან სადავოც არის, ამოუხსნელიც და საკვირველიც.

თუშები ომში მოკლულ თავის მეომარს არსად ტოვებდნენ, ბრძოლის დასრულებამდე დაკრძალავდნენ და უკანა გზაზე აუცილებლად წაასვენებდნენ თავის სოფელში წესის ასაგებად, შეთეს შესახებ რატომ უნდა გავრცელებულიყო ეს ამბავი, თუ ასე არ მოხდა? არც მარჯვენას მოჭრაა თუშური წესი. მარჯვენას აჭრიდნენ ჩეჩნეთში, რამაც გავლენა იქონია პირიქითა ხევსურეთზე, არხოტზე, მაგრამ ვოლკონსკი წერს, რომ შეთემ, გამწარებულმა, ორს მოაჭრა ხელი. რატომ არ შეიძლებოდა, ესეც მოემოქმედა შურისძიებით აღვსილ გამწარებულ-გაბოროტებულ მამას?

საუბარია შეთეს უფროს შვილზე (ორი ერთად მოასვენეს) დათოზე.

გარდაცვლილი დათო შეთეს გაუშიშვლებია, სამოცდათხუტმეტ ნაწილად დაუჭრია და ყველა მეგობარ-ნათესავისთვის გაუგზავნია ნაწილები პატარა ხის ყუთით, სანაცვლოდ მტრის თითო მარჯვენა მომიტანეთ, ჩემი შვილის ნაწილი კი თქვენს სამაროვანზე დამარხეთო. თვის თავზე ყველას შეუსრულებია შეთეს დანაბარები. ოცამდე მარჯვენა თვითონაც მიუმატებია და ასე ამოუყრია ჯავრი.

რაც შეეხება ლეგენდებს, ლეგენდარულ გმირზე უამრავი ლეგენდა არსებობს, მაგრამ რატომღაც ამ ლეგენდას ნახევრადმისტიკურად მიიჩნევენ: ღამეა. შეთე მონადირის ეხში ათევს, თან მწვადს წვავს. საიდანღაც ლამაზი გოგო დაადგა თავზე. შეთეს გაუკვირდა, აქ ქალს რა უნდაო. უცბად შეამჩნია, რომ ქალს ტერფები შებრუნებული ჰქონდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავსულია (თებჟორიკა). შეთე არ შეშინდა, ყურადღებას არ აქცევს, აგრძელებს მწვადის შეწვას. ქალი ჩამოჯდა, მწვადიდან გამოსულ წვენს თითს აწობს, ილოკავს და ამბობს: კიწიმწარა, კიწიმწვარა, ჩემი წილი კი შემწვარა. შეთემ ელვისებურად სტაცა ხელი მუგუზალს, მოუქნია და სული გააფრთხობინა. გარშემო ხევხუვებმა და კლდეებმა ზრიალი დაიწყო: სართი, შეთევ, სართი! ანუ, კიდევ ერთი დაარტყიო. ხალხური თქმით, თუ ავსულს დარტყმით მოკლავ, მეორე დარტყმით აცოცხლებ. სართიც ეს არის და სატანიც, — თქვა შეთემ, მოავლო ხელი ავსულს და ხევში მოისროლა.

მაკა ჯაყელი

P.S. შეთეს, ვიღაცის გადასახედიდან, შეიძლება, არაკაცობად ჩაეთვალოს შამილთან მტრობა, მაგრამ მე ვითვალისწინებ იმ ეპოქის მაჯისცემას და მესმის მისი, მესმის, რატომ არ ესმოდა შამილის, — გაუნათლებელი ბიჭი იყო, უსწავლელი, მხოლოდ ის იცოდა, რომ ყველა ლეკი მტერია...

იმას ვგულისხმობ, შეთემ რომ გრიგოლ ორბელიანს შამილის სოფელთან მისასვლელი ბილიკები უჩვენა. როგორც ჩანს, ეს ამბავი ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილი და თანაც იმდენად მნიშვნელოვანი იყო იმ დროში, რომ მისმა თანამედროვე მხატვარმა ნიკალამ (ფიროსმანმა) ტილოზე აღბეჭდა...

ახლა ფიქრი უნებლიედ ვორონცოვისკენ გამექცა „ყველაზე კარგი რუსისკენ“ და დავფიქრდი, ნეტავ, რა დანაშაული მიუძღვის ასეთი კონკრეტულად მიხეილ ვორონცოვს ჩვენ წინაშე, რომ მისი დამსახურებები, ისევ საქართველოს წინაშე, გადაფარა-მეთქი?

გადამთიელმა კაცმა ოპერის საძირკველი ჩაგიყარა, იტალიელი არქიტექტორები ჩამოგიყვანა, ოთხ წელში მოგიმთავრა, მოგიხატა, დაიხურა ქუდი და ისე წავიდა, ზურგზე არ მოუკიდია და თან არ წაუღია — თან მხოლოდ ელენე ორბელიანის სიყვარული წაიღო, სიყვარული, რომლის შესახებ ვორონცოვის ცოლმაც იცოდა...

ლენინის მოედანზე, მაშინდელ ერევნის მოედანზე თეატრი აგიშენა და მერე თუ ის შენი დაუდევრობით ხანძარმა დაგინახშირა, რა მისი ბრალია, რას ერჩი?

მეფისნაცვლის კანცელარიის ბაზაზე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დააარსა და დროის მოთხოვნას რომ ვეღარ აკმაყოფილებდა, ვახტანგ ორბელიანს, რომელიც, როგორც სხვა ქართველი პოეტები, თავადები თუ საზოგადო მოღვაწეები, აზრზე ვერ ან არ მოდიოდნენ, მიმართა, რათა საკუთარი სახსრებით აეგოთ საჯარო ბიბლიოთეკის შენობა და რას ერჩი?

ვორონცოვის სახელს უკავშირდება: ქართული და რუსული თეატრების გახსნა, წმიდა მირიანისა და ნანას სახელობის ეკლესიის აგება, ბორჯომის პლატოს პარკის კეთილმოწყობა, ბორნის ნაცვლად მტკვარზე გადასასვლელი ხიდების აგება თბილისსა და ბორჯომში — რას ერჩი?

ალბათ, იმიტომ მესმის შეთესიც, როგორც სწამდა, ისე ესმოდა და ისეც იქცეოდა, როგორც სწამდა და ესმოდა იმპერიალისტური რუსეთისა. ჩემთვის, ცოტა არ იყოს, აბსურდამდეა მისული ნებისმიერი ადამიანის სამსახურის განსჯა იმ მოცემულ დროსა და მომენტში, რომელშიც ის დაიბადა და გაიზარდა, აბა, ვის სამსახურში უნდა ჩადგე ერთადერთ მოცემულობაში?!

საკვირველია, ადამიანთა განვითარების ყველა ფორმაცია, როგორც ყველა მმართველი, რატომღაც ყოველთვის დასაძრახია მომდევნოსგან. არადა, რეალურად რომ შეხედო, რაიმეს შემქმნელი და დამტოვებელი სწორედ წინამორბედია, ხოლო ცუდსა და უზნეოზე თუ მიდგება საქმე, ყოველთვის ახალს შემოაქვს და ძველში გადაიქცევს...

თავდაპირველად მთლად კარგად ვერ დაიწყო შეთესა და ვორონცოვის შეხვედრა, მაგრამ არად ჩააგდო განათლებულმა კაცმა უბირის უტიფრობა, მიხვდა, შეთეს ხალხში გამოუსვლელობით მოსდიოდა ავყიობა და მეფისნაცვლის გონიერებამ მეფის სამსახურისკენ დიპლომატიურად შეაბრუნა მთის ლაღი მეომარი, გულში არ ჩაიდო შეურაცხყოფის გამო მისდამი წყენა. თვით შეთე რატომ იყო უცნობ კაცზე გამწყრალი, უცნობია, შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ შეთეს ამბავი მიუტანეს, მეფისნაცვალი თეატრში გპატიჟობს, ნაბრძანებია, აუცილებლად უნდა ჩახვიდე ბარშიო. ეს „ნაბრძანებიაც“ შეიძლება გამხდარიყო მისი გაგულისების მიზეზი. შედეგი აკი ვთქვი, კაბინეტში ეკიდა ვორონცოვს მისი სურათი, თავი კი ასე იყო, — მივიდა თეატრში შეთე და წარსდგა მეფისნაცვლის წინაშე. უყურებს შეთე მუნდირში გამოწყობილ, ათასგვარი ჩინ-მედლებითა და აპელატებით აღკაზმულ ვორონცოვს გაოცებული, პირველად ნახა მსგავსი ელვარება და თვალს ვერ სწყვეტს, თუმცა სახეზე ერთგვარი რისხვა აწერია და ამ დროს დაამთქნარა კიდეც.

— რა მოხდა, შეჭმას ხომ არ მიპირებ? — გაუღიმა ვორონცოვმა.

— ნუ გეშინია, ღორის ხორცს არ ვჭამ, — მიუგო გაღიზიანებულმა შეთემ და, შერჩა ნათქვამი ხახვივით...

ძალიან მოსწონდა ვორონცოვს შეთე... ალბათ, ამიტომაც ეკიდა მისი სურათი კაბინეტში...

ისლამური სამყარო ძალიან რთული და ურთიერთდაპირისპირებულია

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, ამ დრომდე ბუნდოვანია, როდის დაიწყებს ისრაელი ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაციას. „ჰამასის“ ლიდერების ნაწილი განეიტრალებულია, თუმცა საბოლოო მიზანი ტერორისტების სრული განადგურებაა. ღაზას სექტორში საავადმყოფოს აფეთქებამ მოვლენები კიდევ უფრო გაამწვავა...

— სახმელეთო ოპერაციის დაწყებამდე, დიდი ალბათობით დაძაბული ფარული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ეს ოპერაცია, განსაკუთრებით საავადმყოფოში მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ, ისრაელის მიმართ ისედაც გაზრდილი უპრეცედენტო აგრესიის ტალღის გაძლიერებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: სამხედრო და გლობალური პოლიტიკური ეფექტი. ღაზას სექტორში მებრძოლები წინააღმდეგობისთვის მზად არიან, ადგილზე არის მიწისქვეშა კომუნიკაციების სისტემა, არც იარაღი აკლიათ, მაგრამ სამხედრო წარმატებამაც კი შეიძლება ისეთი გლობალური პოლიტიკური ეფექტი გამოიწვიოს, რასაც ამ პროცესში, შესაძლოა, სხვა რეგიონული აქტორების ჩაბმა მოჰყვეს. ეს კი კონფლიქტის გაფართოებას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, სახმელეთო ოპერაცია ხან ამინდის მომიზეზებით, ხან ოპერაციის მომზადების დაუსრულებლობით, რამდენჯერმე გადაიდო. სიმპტომატურია, რომ რეზერვისტების ნაწილი ისრაელმა სახლში გაუშვა. ამიტომ, რთულია იმის პროგნოზირება, რა მოხდება. შესაძლოა, ეს მოწინააღმდეგის საინფორმაციო ომის ნაწილი და მედიის შეცდომაში შეყვანის ოპერაცია იყოს. ცხადია, ეს უბრალო კონფლიქტი არ არის. ისრაელის მიმართ ყურადღება გაცილებით დიდია, ვიდრე ნებისმიერი სხვა რეგიონისადმი. ისრაელი სამი ურთიერთდაპირისპირებული აბრაამიტული — იუდეველობის, ისლამისა და ქრისტიანული რელიგიების მიმდევრების ყურადღების ცენტრშია. შეგახსენებთ, დედამიწაზე დაახლოებით მილიარდ ექვსასი ათასამდე მუსლიმი და ორმილიარდ-ნახევარი ქრისტიანი ცხოვრობს, **იუდეველები უფრო ცოტანი არიან. მათი უმრავლესობა ებრაელია, რომელთა გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ, ფინანსურ, სახელოვნებო ცხოვრებაში არაპროპორციულია მათ რიცხოვნობასთან.** ამიტომაც, დღემდე მთელი ყურადღება ისრაელისკენაა მიმართული. შედეგად, ისრაელის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდი წნეხის ქვეშ არის. ერთი მხრივ, მომხდარი ტერაქტი უპასუხოდ ვერ დარჩებოდა. ღაზას სექტორისა და ისრაელის გამყოფ კედელს თითქოს არავინ იცავდა, ჯარის ნაწილები ჩრდილოეთში მაინცდამაინც იმ დღეს გაიყვანეს, როცა ფესტივალი — ის ბაკქანალია იმართებოდა, რომლის მსგავსი ჩვენთან ლისის ტბაზე ჩატარდა. ისრაელის საზოგადოება შურისძიებას ითხოვს. ცხადია, ეს ღაზაში სახმელეთო ოპერაციით უნდა მოხდეს. თუმცა, აქვე ერთ მოსაზრებასაც გაგანდობთ: საავადმყოფოზე დარტყმით საკუთარი ხელისუფლების მიმართ თავად ისრაელის მოსახლეობის განწყობა განეიტრალდა. დიახ, შურისძიების მოთხოვნა განეიტრალდა, რადგან ღაზაში ადამიანების დაღუპვა არაცნობიერად აღქმული იქნა, როგორც იმის საფასური, რაც ისრაელში მოხდა. ასე რომ, დღეს ისრაელის მთავრობამ სახმელეთო ოპერაცია რომც არ ჩაატაროს, ებრაელი ხალხის მხრიდან მის მიმართ წნეხი ნაკლები იქნება.

— ღაზას სექტორში ისრაელს ოპერაციის ჩატარების მცდელობა ადრეც, 2006 წელსაც ჰქონდა, მაგრამ არ გამოუვიდა...

— „ჰამასი“ ღაზას სექტორში მმართველი პარტიაა. ღაზას სექტორში არავითარი რესურსები არ არსებობს. ის სამხრეთით ეგვიპტეს და ზღვას ესაზღვრება, რომელიც ისრაელის მიერ ბლოკირებულია. ოღონდ, ისრაელი აწვდის გაზს, დენს, წყალს. გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა და იმ ფულს, რასაც ღაზას სექტორს ევროკავშირი და პალესტინური დიასპორა ურიცხავს, იქ სხვა არანაირი შემოსავალი არ არსებობს. ძირითადი მოსახლეობა სამუშაოდ ისრაელში გადადის. ღაზას სექტორის მთელ პერიმეტრზე კედელია, რომელიც ტექნოლოგიის სასწაულად ითვლება. იქ თვალთვალის უახლესი ტექნოლოგიებია. ღაზას სექტორში ყველა ტელეფონი ისმინება, თანამგზავრი კი დაინტერესებულ სპეცსამსახურებს ონლაინრეჟიმში ინფორმაციას გადასცემს, იგულისხმება, „მოსადი“, დაზვერვის ცენტრალური სამმართველო და სხვა. აი, ეს ვითარებაა.

„ჰამასი“ იგივე სუნიტი ექსტრემისტები, ვაჰაბიტები არიან, ხოლო „ჰესბოლა“ ლიბანელ შიიტთა დაჯგუფება, რომელსაც უზარმაზარი, 150-ათასიანი არმია ჰყავს. ეს ირანის მიერ დაფინანსებული, გაწვრთნილი, მხარდაჭერილი ძალაა, სერიოზული შეიარაღებით და მომზადებით.. თუ ისრაელი ღაზას სექტორში შევა, კატასტროფული მსხვერპლი იქნება. გამორიცხული არ არის, ბრძოლაში „ჰესბოლაც“ ჩაერთოს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, განზე არც სირია დარჩება და არც ირანი. ანუ, ესკალაციის საფრთხე ძალიან დიდია. ებრაელებმა გონებას თუ არ მოუხმეს და არაორდინარული გადაწყვეტილება არ მიიღეს, ეგზისტენციალური საფრთხე დაუდგებათ. თუ ისლამურ სამყაროში ასეთმა განწყობებმა იმატა, ისრაელს არმიის სიძლიერე ვერაფერს უშველის.

ისლამური სამყარო ძალიან რთული, დივერსიფიცირებული და ურთიერთდაპირისპირებულია, სადაც სხვადასხვა ინტერესები იკვეთება. თუმცა, არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ეს წინააღმდეგობები და განსხვავებულობები შეიძლება დავიწყებული იქნას. ასეთ შემთხვევაში ისრაელისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც ძალიან მძიმე შედეგები დადგება. მოგეხსენებათ, აშშ-მა გადაწყვიტა, ისრაელში თავისი საზღვაო ქვეითები განალაგოს.

— ამერიკული ავიამზიდები ისრაელში მხოლოდ „ჰამასისა“ და „ჰესბოლას“ გასანადგურებლად არ ჩასულა. გათვლა უფრო დიდ აქტორებზე ხომ არ არის?

— როგორც აღვნიშნე, „ჰესბოლას“ უკან ირანი დგას, ჯერ კიდევ უკრაინის ომის დაწყებამდე ვამბობდი, რომ დედამიწაზე არსებობს სამი ყველაზე ინტენსიური გეოპოლიტიკური დაპირისპირების ზონა: **აღმოსავლეთი ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და ყვითელი ზღვა — აღმოსავლეთი აზია, იგულისხმება, ჩინეთი-ტაივანის საკითხი.** ეს გეოპოლიტიკური ბრძოლის მთავარი არეალებია. პირველი არეალია უკრაინის ომი, სადაც, თუ რუსეთი დამარცხდება, საზღვაო ცივილიზაცია, ბრიტანეთი და აშშ მიზანს მიაღწევენ. ეს მხოლოდ რუსეთის საკითხი კი არა, გლობალური დომინირების ასპექტია.

ბჟეზინსკი ამბობს: რუსეთი უკრაინის გარეშე არის რეგიონული სახელმწიფო, ხოლო უკრაინასთან ერთად გლობალური ზესახელმწიფოო.

მეორე არეალია ახლო აღმოსავლეთი, იმიტომ, რომ ირანის არსებობა და გაძლიერება ბრიტანულ-ამერიკული გეოპოლიტიკისთვის კატეგორიულად მიუღებელია. შესაბამისად, ირანი უნდა დასუსტდეს, დაიშალოს.

ბრიტანულ-ამერიკული გეოპოლიტიკა ცდილობს, რუსეთი საზღვაო კომუნიკაციებიდან მოწყვიტოს და აღმოსავლეთ ევროპაში სანიტარული კორდონი გააკეთოს. ანუ, რუსულ რესურსებსა და გერმანულ ტექნოლოგიებს შორის კავშირის შესაძლებლობა გაწყვიტოს. აქეთ სურთ ისრაელი-ირანის ომის ინსპირირება და ირანის დასუსტება, ამ ომში ჩათრევა. ასევე, ჩინეთის ჩათრევა ტაივანთან დაპირისპირებაში, მისთვის საზღვაო ვაჭრობის შესაძლებლობების შეზღუდვა. ამავე დროს, დიდ ევრაზიაში ფერადი რევოლუციებით ინტეგრაციული პროექტების მაქსიმალური შეზღუდვა ლოჯისტიკურ გზებზე. ანუ, ლოჯისტიკის დაბლოკვა. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ევრაზიაშიც, აფრიკაშიც. ასე უნდა გავიგოთ ეს პროცესები.

რაც შეეხება ისრაელის ეპიზოდს, გავიხსენოთ, როგორ ხდებოდა იმ პროცესების ინიცირება, რამაც მსოფლიოს ცვლილება გამოიწვია.

ასევე უნდა გავიაზროთ როგორც ტერორისტული თავდასხმა ისრაელზე, ისე ღაზას სექტორში საავადმყოფოზე შეტევაც. უბედურება ის არის, რომ ეს ციინიკოსი, ცივსისხლიანი მმართველები თავიანთ მანიპულაციებს განაგრძობენ მიუხედავად იმისა, რომ ეს პროვოკაციები დროთა განმავლობაში ცხადი ხდება და პასუხსაც არავინ აგებს. საქმე გვაქვს განწყობების მართვასთან. პოსტსიმართლის ეპოქაში ვცხოვრობთ.

— ბატონო სოსო, ისრაელში მიმდინარე პროცესების ესკალაცია რამდენად ჩაითრევს სამხრეთ კავკასიას კონფლიქტში?

— შევხედოთ, რა ვითარებაა სამხრეთ კავკასიაში: სომხეთის პრეზიდენტი საოცარ განცხადებებს აკეთებს: რადიკალურად პრო-ევროპელი, პრო-ამერიკელი ვარო. ეს გასაგებია, ვინც სათავეში მოიყვანა, იმათ ემსახურება და მათ დავალებებსაც ასრულებს. ჩვენთან ამას ემატება რევოლუციის განუწყვეტელი მხარდაჭერა. შედეგად, იკვეთება საფრთხე, რომ საქართველო გამოყენებული იყოს როგორც ერთგვარი პლაცდარმი. ანუ, საქართველო-სომხეთი გამოყენებული იქნება როგორც ანაკონდას ცეცხლოვანი რგოლი რუსეთის საზღვრების გასწვრივ. ამ ამოცანის განხორციელებას სწორედ საქართველოს მეშვეობით ეცდებიან. ეს წინდა პრაგმატული თვალსაზრისით ჩვენთვის დიდი საფრთხეების შემცველია. მიუხედავად, ნატო, ნატო-ს ძახილისა, ეს გამოიწვევს იმას, რომ სამხრეთ კავკასია საომარი მოქმედებების კიდევ ერთი არეალი გახდება, რაც დამღუპველია. ამ იდეის ავტორ-შემსრულებლებს რა განზრახვაც უნდა ჰქონდეთ და როგორ გეოპოლიტიკურ სარგებელსაც უნდა ხედავდნენ, რუსეთის გარშემო ყულფის შემოჭერით ჩვენ ამ ყულფის როლში არ უნდა აღმოვჩნდეთ. რადგან დიდია საფრთხე, რუსულმა დათვმა, რომელსაც ჩინურ დრაკონთან და მის მოკავშირე ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან სამხედრო კავშირი აქვს, ეს ანაკონდას ყულფი, რომელსაც ჩვენსკენ იქნევენ, პირდაპირ მაცხოვრებლებიანად გადაკვნიტოს. ეს არ გვაწყობს.

— რა გავლენა ექნება ისრაელი-პალესტინის ომს უკრაინაზე. ვისთვის თავისუფლდება უკრაინის მიწები?

— არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტერიტორიები, სადაც ადრე, რუსეთის იმპერიის დროს, აშკენაზი ებრაელები ცხოვრობდნენ, უკრაინელი მამაკაცებისგან მიზანმიმართულად თავისუფლდება. საუბარია ხერსონის, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის, ოდესის ოლქებზე, ასევე, ყირიმზეც. ანუ, როცა ომი დამთავრდება, დადგება უკრაინის აღდგენის საკითხი. ვის შეუძლია ინვესტიციები განახორციელოს? მსოფლიო ებრაელობის ნაწილს. ისინი იტყვიან: ყველაფერს აღვადგენთ და ამ ადგილებში დავსახლდებითო. ამას თავისი წინაისტორია აქვს. მაგალითად, ყირიმთან დაკავშირებული პრეტენზიები. ყირიმი თავის დროზე მსოფლიო ებრაელობის ნაწილს იქ დასასახლებლად უნდოდა. რაც შეეხება თვითონ ომის მიმდინარეობას, ვხედავთ განუწყვეტელ ხოცვა-ჟლეტას და უკრაინის პასიონარული მოსახლეობის, ახალგაზრდა მამაკაცების განადგურებას. უკრაინული მოსახლეობა, ვისაც ბრძოლა შეუძლია, მთავრდება. ომის შემსწავლელი ინსტიტუტის მონაცემებით, უკრაინაში მსხვერპლი დიდია.

ამ ომის მაქსიმალური მსხვერპლის სტადიაში გადაყვანა, როგორც ჩანს, რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკური განზრახვაც არის. ომის უცნაურობა, იცით, კიდევ რა არის? — რუსეთის სამხედრო პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არმიას საშუალება არ მისცა, სამთავრობო შენობები, საინფორმაციო პროპაგანდის საშუალებები გაენადგურებინა, სრულფასოვნად გამოეყენებინა ავიაცია, არ ხდება ხიდებისა და სარკინიგზო კვანძების დაზიანება, რისი ტექნიკური საშუალებები რუსეთს აქვს. ომისთვის საჭირო ტექნიკა ფრონტისკენ შეუფერხებლად მიედინება. არადა, თუნდაც დნეპრზე ხიდების აფეთქება ამ ომს ერთ კვირაში დაასრულებდა, თან არც ამხელა მსხვერპლი იქნებოდა და არც დიდი ეკონომიკური ზარალი. ანუ, საქმე გვაქვს უკრაინის დეპოპულაციის ვერაგულ გეგმასთან, რომელსაც ოთხი ხელით ასრულებენ პუტინი და ზელენსკი. ამიტომ ქართველ პუტინოფილებსა და ზელენსკოფილებს მოვუწოდებ: კარგად დაფიქრდნენ, რა თამაშში მონაწილეობენ და რას ან ვის უჭერენ მხარს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„გლობალური შიმშილის ინდექსის“ მაჩვენებლით საქართველო პირველ ოცეულშია

ნომრის სტუმარია ეკონომიკის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი ვახტანგ ჭარაია:

- ჩვენი ბოლო ინტერვიუ პანდემიის დროს შედგა. მაშინ ამბობდით, რომ თუ პანდემია გახანგრძლივდებოდა, ქვეყნის ეკონომიკა ამას ვერ გაუძლებდა. მაინც, როგორ გაუმკლავდა ქვეყანა ამ გლობალურ გამოწვევას?

- მოლოდინი ბევრად ნეგატიური იყო, ვიდრე რეალური პრობლემები. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა, შეიძლება, ძალიან დიდი კრიზისის წინაშე

აღმოვჩენილიყავით. ძალიან დიდი შეღავათი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ის საერთაშორისო დახმარებები, მილიარდობით დოლარი, აგრეთვე სამედიცინო აღჭურვილობა და ვაქცინა რაც კოვიდის პერიოდში საქართველოში შემოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მხარდაჭერამ გადაგვარჩინა. მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა.

- ბოლო პერიოდში ბაზარზე ბოსტნეულსა და მწვანილზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება, რასაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიც მოწმობს. თქვენივე საუბრიდან შეგახსენებთ, რომ არის სექტორები, რომლის სუბსიდირებაც შესაძლებელია, მაგრამ რა დოზით, და მეთოდით?

- პროდუქტზე ფასების ზრდას ბევრი მიზეზი აქვს. 2021 და 2022 წლებში საშუალოდ 10-პროცენტიანი ინფლაცია გვქონდა, მაგრამ 2023 წელს ინფლაციურმა დაწოლამ იკლო. თუმცა ფასების ზრდა მაინც გრძელდება და მნიშვნელოვან პრობლემას გვიქმნის. მიზეზიაროგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი წარმოების გაძვირებაა. ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, თითქმის ყველაფერი უცხოეთიდან შემოგვაქვს. გარდა იმპორტისა, გაძვირდა ადგილობრივი წარმოებაც, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ წარმოებაში უცხოურ ნედლეულს ან ტექნოლოგიებს იყენებენ. ან სულაც, ხედავენ, რომ ბაზარზე სხვა პროდუქცია გაძვირდა, ცხოვრება ძვირდება და კონკურენციის ან მათთან პირდაპირი კავშირი არქონის მიუხედავად, თვითონაც აძვირებენ პროდუქციას. შესაბამისად, ჯაჭვური რეაქციით, ერთი მეორეს მიჰყვა და ფასებმა მოიმატა. შეიძლება ბოსტნეული სულაც არაფერ შუაში იყოს იმასთან, რომ, პირობითად, უკრაინიდან იმპორტირებული ზეთი გაძვირდა, მაგრამ, როდესაც ზეთი, სამშენებლო მასალები, ტანსაცმელი და ასე შემდეგ, ძვირდება, ეს ნიშნავს, რომ „ცხოვრება გაძვირდა“. შესაბამისად, ქართველი მებოსტნე იქნება ეს, მეწარმე, სტილისტი თუ ხელოსანი, ავტომატურად აძვირებს თავის მომსახურებას.

- ფასები მატულობს, თუმცა კერძო სექტორში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება იგივე დარჩა. საჯარო მოხელეების ხელფასი იზრდება, რაც მისასალმებელია, მაგრამ ყველა საჯარო სექტორში ხომ ვერ იქნება დასაქმებული?

-კერძო სექტორშიც გაიზარდა ხელფასები, თუმცა ყველგან არა, ვიღაცას შეიძლება შეუმცირდა კიდეც. ოფიციალური სტატისტიკით, როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნეს სექტორში, დასაქმებულის შრომითი ანაზღაურება იზრდება. სამწუხაროდ, ამ ზრდას ინფლაციის გამო მეტი საქონლის და მომსახურების შეძენის შესაძლებლობა არ აქვს. მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ამ ზრდის გარეშე დასაქმებულები, სამწუხაროდ, კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდებოდნენ.

- ევროკავშირის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი შემცირდა. საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ევროპაში 456.7 მლნ დოლარის ქართული პროდუქცია გაიყიდა, წინა წლის ამავე პერიოდში კი - 518.4 მლნ დოლარის ღირებულების. რა არის ექსპორტის შემცირების მიზეზი?

- ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2022 წელს პანდემიამდელ მაქსიმუმსაც გადააჭარბა. კერძოდ, წინა წელთან შედარებით, 2022 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 145 მილიონით გაიზრდა და 862 მილიონს გადააჭარბა. რაც შეეხება თვეების მიხედვით 2023 წლის ჩამორჩენას 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ეს ექსპორტის წინა წლის მაჩვენებლის მაღალი ზრდითაც შეიძლება აიხსნას. ამასთან, წლის ბოლომდე ჯერ კიდევ დიდი დროა და არ არის გამორიცხული, წლევანდელი მაჩვენებელი შარშანდელზე მაღალი იყოს.

- „გლობალური შიმშილის ინდექსის“ 2023 წლის მაჩვენებლით საქართველო საუკეთესო ოცეულში მოხვდა. ეს ქვეყანაში შიმშილის დაბალ დონეზე მიუთითებს, თუმცა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა უკიდურეს სიღარიბეს არ ებრძვის...

- „გლობალური შიმშილის ინდექსის“ მონაცემები მსოფლიოს 125 ქვეყანაში შეფასდა, რის მიხედვითაც ეს ინდექსი საქართველოსთვის 5%-ზე ნაკლებია.

საქართველოსთან ერთად, პირველ ოცეულში შედის: ლიეტუვა, ლატვია, უნგრეთი და თურქეთი. მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები ოთხი ფაქტორით განისაზღვრება: მოსახლეობის არასაკმარისი კვება, წონის კლება ბავშვებში, ბავშვების ზრდაში ჩამორჩენა და ბავშვთა სიკვდილიანობა.

ეს არის რეიტინგი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში შიმშილის მაჩვენებელს ზომავს, თუმცა, საქართველოსთან მიმართებაში ეს რეიტინგი მთლად საინტერესო არ არის, რადგან ჩვენთან შიმშილი მწვავე პრობლემას არ წარმოადგენს. შიმშილი საქართველოშიც პრობლემაა და მერწმუნეთ, რომ ამერიკისა და გერმანიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც შიმშილობს. ჩვენთან, ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში, პრობლემა უკიდურესი სიღარიბეა. ეს შიმშილს არ უდრის, თუმცა, კარგიც არაფერია. საქართველო გლობალური შიმშილის ინდექსის მაჩვენებლით არ არის ცუდად პოზიციონირებული, პირიქით, საუკეთესო ოცეულშიც კი მოხვდა თავისი შედეგებით. თუმცა, თუკი მაგალითად, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლით შევადარებთ საქართველოს სხვა ქვეყნებს, აქ პრობლემა გვაქვს, გვყავს 800 ათასამდე სოციალურად დაუცველი მოქალაქე და ამას ვერავინ უარყოფს.

- რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა თითოეული მშრომელი, პატიოსანი ადამიანის „ჯიბეზე“ აისახოს. არსებობს ამის „რეცეპტი“?

- იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არა ვართ ნავთობის, გაზის ან თუნდაც ძვირფასი ლითონების მწარმოებელი ქვეყანა, შეგვიძლია, არსებული ადამიანური თუ ტექნოლოგიური რესურსები უფრო ოპტიმალურად გამოვიყენოთ, ამის ხარჯზე მივაღწიოთ მეტ კონკურენტუნარიანობას და დამატებითი შემოსავლის წყაროები მივიღოთ. თუმცა ამის განხორციელებას წინ უამრავი სირთულე უდგას, როგორც ფინანსური განათლების მიმართულებით, რომელიც ჩვენთან, სამწუხაროდ, მოიკოჭლებს, ასევე ფინანსური სიძლიერის კუთხით. იმისთვის, რომ დიდი ფული იშოვო, მარაგშიც დიდი ფული უნდა გქონდეს, რისთვისაც არც საქართველოს მოსახლეობა და არც ბიზნესი მზად არ არის. სულ თითზე ჩამოსათვლელი სოლიდური ბიზნესმენები გვყავს, რომლებსაც თავიანთი პრიორიტეტები და ინტერესები აქვთ, მაგრამ მათი მთავარი პრიორიტეტი ინოვაციური ბიზნესის კეთება და მოსახლეობის ფართო მასებზე გათვლილი სარგებელი არ არის. სახელმწიფომაც უცებ, ერთ წელიწადში, რამე ისეთი რომ გააკეთოს, რაც თითოეული ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობაზე

აისახება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთი რეცეპტი არ არსებობს.

მთავრობამ, პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებს ხარისხიანი განათლების მიღებაში, თანამედროვე ტექნოლოგიებში ჩადოს სოლიდური რესურსი და ხელი მაქსიმალურად შეუწყოს ბიზნესს. ის, რასაც ვაკეთებთ, უნდა იყოს სტაბილური, მდგრადი, განგრძობადი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება არის სანდო და შეუძლია ამ ქვეყანაში დააბანდოს თავისი კაპიტალი. მისასალმებელია ჩინეთთან სტარატეგიული პარტნიორობა, თუმცა კიდევ ბევრი ასეთი სტრატეგიული პარტნიორი და პროექტი გვჭირდება იმისათვის, რომ წლების შემდეგ ამ გზით ძლიერი ეკონომიკა მივიღოთ. თუმცა, ერთ და ორ წელიწადში, ქვეყნის ეკონომიკის ისეთი განვითარება, რომ ერთიანად ყველა გამდიდრდეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

- ცოტა ხნის წინ საერთაშორისო სანქციების აღსრულების წესში ცვლილება შევიდა, რის შემდეგაც ეროვნული ბანკი საბჭოს სამმა წევრმა დატოვა. როგორ შეაფასებდით ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილებას?

- ეს გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, გაუგებარი იყო ჩემთვის, რადგან უფრო მარტივადაც შეიძლებოდა საკითხის მოგვარება. ხმაურითა და აყალმაყალით, სამწუხაროდ, ზიანი მიიღო ქვეყანამ მთლიანობაში და ეროვნულმა ბანკმა - განსაკუთრებით. ერთით მეტი ადამიანი რომ გადამდგარიყო საბჭოდან, ეროვნული ბანკის არსებობას გარკვეული რისკები დაემუქრებოდა. კარგია, რომ პრობლემა არ შეექმნათ. პარლამენტმა ოპერატიულად დაამტკიცა ორი ახალი წევრი და ის შესაძლო რისკი, რომ ეროვნული ბანკი ქმედუუნარო გამხდარიყო, დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმცა, ამ აყალმაყალის გამო რეპუტაციული და ფინანსური ზიანი ეროვნულმა ბანკმა მაინც მიიღო და ეროვნული ვალუტის „მოთოკვამაც“ მოუწია.

- ახლა სადამდეა „მოთოკილი“ ჩვენი ეროვნული ვალუტა?

- დაახლოებით 2.65 -ის ფარგლებში იყო ლარი დოლართან მიმართებაში, ახლა კი 2.70-ის ფარგლებშია. გაუფასურება შეინიშნება, მაგრამ თავიდან იქნა არიდებული პანიკური გაუფასურება, რისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯა.

- როგორ ფიქრობთ, კანდიდატის სტატუსის მიღება-არმიღების საკითხი იმოქმედებს თუ არა ბიზნესგარემოზე საქართველოში?

- თავისთავად, კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ უდრის ევროკავშირის წევრობას, მაგრამ ამან შეიძლება ბიზნესისთვის დამატებითი სტიმული გააჩინოს. ვფიქრობ, მეტი ევროპული და არამხოლოდ ევროპული ბიზნესი დაინტერესდება ქართული ბაზრით კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში. კანდიდატის სტატუსი უდრის განწყობას, რასაც თავისი მუხტი აქვს. ვფიქრობ, საქართველომ დაიმსახურა და ევროკავშირიც მოგვანიჭებს კანდიდატის სტატუსს.

ნონა ქარქაშაძე

აშშ-ში რაღაც ისე ვერ არის, როგორც გვგონია...

ამერიკელი გენერალი მაიკლ ფლინი: „ნუ დაუჯერებთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებს და თოქ-შოუებში მოლაპარაკე „გენიოსებს.“ მათი საუბარი მხოლოდ ყურადღების გადატანის მცდელობაა იმ კოლოსალური წარუმატებლობისგან, რომელიც შეერთებული შტატებისა და ისრაელის სადაზვერვო სამსახურებმა, დიპლომატიამ თუ სამხედრო მაღალჩინოსნებმა განიცადეს.

როდესაც ირანს გაყინულ ფულზე წვდომა აღუდგინეს, ისინი გვეუბნებოდნენ, რომ 6 მილიარდი დოლარი ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებისთვის იყო განკუთვნილი. ეს აბსოლუტური ტყუილია! (ამ დროისათვის კვლავ გაუყინეს ირანს ხსენებული 6 მლრდ დოლარი, რომელიც აშშ-ის 5 მოქალაქის გათავისუფლების სანაცვლოდ გადაირიცხა ირანის ანგარიშზე კატარის ბანკში. ფაქტობრივად, აშშ-მა მოატყუა ირანი,

მძევლები ჩაიბარა და საზღაურზე პირი უშალა — ავტ.).

ცხადი იყო, რომ ირანი ამ ფულს იმ მტრების გასანადგურებლად დახარჯავდა რომლებსაც საფრთხედ მიიჩნევს — განსაკუთრებით აშშ-სი, რომელსაც ირანი „დიდ სატანად“ მიიჩნევს და ისრაელის, რომლის შესახებაც ირანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ დედამიწის ზურგიდან უკვალოდ გააქრობს.

ასეთ წარუმატებლობას 11 სექტემბრის ტრაგედიის, ან შეიძლება, პერლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის შემდეგ არ შევსწრებივართ, რამაც ჩვენი ქვეყნის მეორე მსოფლიო ომში ჩართვა განაპირობა.

„ჰამასის“ ისრაელზე მოულოდნელი თავდასხმა მასშტაბურ ხასიათს ატარებს და სანამ ომი გრძელდება, სწრაფად უნდა დაისვას პასუხისმგებლობის საკითხი. თუ ვიღაცები არაკომპეტენტურობის გამო დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გაათავისუფლონ, დაე, ასე მოხდეს, იპოვეთ უფრო გამოცდილი ადამიანები!

11 სექტემბრიდან მოყოლებული, ამ ბოლო წარუმატებლობამდე ფულს წარუმატებლობაში ვხარჯავთ, იმის ნაცვლად, რომ წარმატებას მოვახმაროთ.

ისრაელს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო გზებით, მათ შორის კიბერსივრციდან დაესხნენ თავს. ეს კარგად წარმართული, მჭიდროდ კოორდინირებული და ჩინებულად გათვლილი ოპერაცია იყო, რაც უზარმაზარი ტაქტიკური და სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას ისახავდა მიზნად. „ჰამასმა“ მრავალი მძევალი იგდო ხელთ, რაც მის უპირატესობას უსვამს ხაზს. უახლოეს დღეებში ისრაელის ლიდერებმა მკაცრი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. ომის ხარჯები კოლოსალურია, ომის წაგების ფასი კი — ისტორიული.

საკითხი, რომელიც ამ ომის დროს უნდა გადაწყდეს, არის შემდეგი: რატომ არ ჰქონდათ ინფორმაცია ჩვენს სადაზვერვო სამსახურებს ამ თავდასხმების შესახებ? ამას გამართლება არ მოეძებნება, რადგან სასიცოცხლო, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებსა და მოკავშირე ისრაელზე ასობით მაღალჩინოსანი სამხედრო აგებს პასუხს. ამის პატიება არ შეიძლება!

ჩემმა ცხოვრებამ „ნიშნებისა და გაფრთხილებების“ სამყაროში გაიარა და ეს სისტემა ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი, განვითარებული სისტემაა USIC-ში და იმის ნაცვლად, რომ სწორად ფუნქციონირდეს, როგორც ჩანს, სრულ კრახს განიცდის. ეს ტექნიკური ხარვეზი არ იყო, ეს ხელმძღვანელობის ჩავარდნა გახლდათ!

არაერთხელ მითქვამს, რომ დაუსრულებელ ომებში მონაწილეობას, რომლებშიც არც გამარჯვების შანსი გვაქვს და არც მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, მწვანე შუქს უნთებენ, გამარჯვებას კი არ გვიფასებენ, სამხედრო-სამრეწველო და უსაფრთხოების კომპლექსები, მათი კორპორაციული ლიდერები და მფარველები მთავრობიდან ჯიბეებს ისქელებენ.

მაგალითად, ავღანეთში 20 წელი დავყავით. ქვეყნიდან გამოსვლამ კატასტროფული სახე მიიღო, ადამიანები თვითმფრინავებზე იყვნენ ჩამოკიდებულები და პირდაპირ რომ ვთქვათ, ციდან ცვიოდნენ.

უკრაინაში არსებულმა სიტუაციამ ცხადჰყო, რომ ეს ქვეყანა ფულის ხარჯვის უძირო ორმოა! ზოგიერთმა ჩვენმა მაღალჩინოსანმა სახელმწიფო სამსახურის კრიმინალიზაცია ახალ დონეზე აიყვანა. უკრაინასთან მიმართებით არც მკაფიოდ დასახული გეგმა გვაქვს და, საერთოდ, არც გეგმა გაგვაჩნია.

ჩვენს საზღვრებს მექსიკური ნარკოკარტელები შემოესივნენ, რომლებიც ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან, „ჰამასთან“, „ჰესბოლასთან“ და ირანის მხარდაჭერილ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ. ამ ყველაფრმა 100 ათასზე მეტი ამერიკელის სიკვდილი განაპირობა. ფენტალინის ეპიდემიასა და ქუჩურ ძალადობას კი ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ემსხვერპლა.

დასასრულს, ეს ბოლო ახლოაღმოსავლური „სიურპრიზი“ გრძელდება, რომლის შესახებაც ჩვენმა სადაზვერვო სისტემამ არ გაგვაფრთხილა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაღუპულთა და დატყვევებულთა შორის ამერიკელებიც არიან.

კმარა არაკომპოეტენტურობა და წარუმატებლობა! საკმარისია!

შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში ლიდერების ნაკლებობაა — ამას ბოლო უნდა მოეღოს!

სიცოცხლე საფრთხეშია, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, ვალი გაიზრდება და ამერიკა დამარცხდება, ჩინეთი კი უფრო მოძლიერდება!

არავინ მძულს, ჩვენი ქვეყანა მიყვარს. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი პლანეტის ზოგიერთ ყველაზე ცუდ ადგილზე ვიცხოვრე და მას ვიცავდი.

დროა, ლიდერები ფეხზე წამოდგნენ!

მივმართავ კონგრესს: გააკეთეთ რამე, ოღონდ იმოქმედეთ!“

პირველად აშშ-ის ისტორიაში, აშშ-ის სახელმწიფო ვალმა ოცდაცამეტ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. თეთრი სახლი ამტკიცებს, რომ აშშ-ს აქვს საკმარისი რესურსები, რათა ერთდროულად მხარი დაუჭიროს უკრაინის ბრძოლას რუსული აგრესიის წინააღმდეგ და ისრაელს. ამის შესახებ, მრჩეველმა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადა.

EURACTIV იუწყება, კონგრესის მიერ დანიშნულ ორპარტიული კომისიის მოხსენებაში აღნიშნეს, რომ აშშ შესაძლო ერთდროეული ომებისთვის უნდა მოემზადოს ჩინეთთან და რუსეთთან. გააძლიეროს თავისი შეიარაღებული ძალები, ალიანსები და გააფართოვოს ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის პროგრამა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული პოლიტიკის შესახებ კომისიის ანგარიში ტაივანის გამო ჩინეთთან შექმნილი დაძაბულობისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე მომზადდა. მედიის ცნობით, მაღალჩინოსანმა, რომელიც მოხსენების მომზადებაში მონაწილეობდა, უარი განაცხადა იმის თქმაზე, ამტკიცებს თუ არა

დაზვერვის ბრიფინგები ბირთვული იარაღის სფეროში რუსეთისა და ჩინეთის რაიმე თანამშრომლობას. „ჩვენ ვწუხვართ... მათ შორის, შესაძლოა, იყოს საბოლოო კოორდინაცია, რომელიც ამ ორი ომის კონსტრუქციამდე მიგვიყვანს“, — თქვა ოფიციალურმა პირმა ანონიმურობის პირობით.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მოხსენება ეწინააღმდეგება აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის პოზიციას, რომ აშშ-ის ამჟამინდელი ბირთვული არსენალი საკმარისია რუსეთისა და ჩინეთის გაერთიანებული ძალების შესაჩერებლად.

ცნობისათვის: 2022 წლის აშშ-ის კონგრესმა შექმნა ჯგუფი, რომელიც 6 „დემოკრატი“ და 6 „რესპუბლიკელით“ დაკომპლექტდა. კომისიის მიზანი იყო აშშ-ის საფრთხეების შეფასება. „ჩინეთისა და რუსეთის საფრთხეები გამწვავდება 2027-2035 წლებში, ამიტომ გადაწყვეტილებების მიღება ახლაა საჭირო, რათა ხალხი მზად იყოს“, — აღნიშნულია 145-გვერდიან მოხსენებაში.

საინტერესოა რობერტ კენედი-უმცროსის მიერ „დემოკრატიული პარტიის“ დატოვების მიზეზები. იგი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ისე მიიღებს მონაწილეობას.

რობერტ კენედი (უმცროსი):

„მე თავისუფალი ვარ სამხედრო კომპანიების გავლენებისგან და ამიტომ შესაძლებლობა მექნება, რომ საგარეო პოლიტიკა მშვიდობასა და დემოკრატიაზე ავაგო;

ჩემზე არ აქვთ გავლენა მდიდარ დონორებს, ამიტომ მათ მაქინაციებისა და თაღლითობის შესაძლებლობას არ მივცემ, ეს კი სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდის შესაძლებლობას მოგვცემს;

ვინაიდან მე თავისუფალი ვარ უოლ-სტრიტის გავლენისგან, მე ბანკის მევალეების უფლებებს დავიცავ;

ჩემზე არ აქვთ გავლენა დიდ კომპანიებს, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. შესაბამისად, მე გავასუფთავებ მიწას, ჰაერს და წყალს;

ვინაიდან თავისუფალი ვარ დიდი კორპორაციების გავლენისგან, შესაძლებლობა მექნება, მათ მიერ ჩვენი ფედერალური სააგენტოების ხელში ჩაგდების ფაქტები გამოვიძიო;

და ბოლოს, ვინაიდან თავისუფალი ვარ ამ ორი პარტიისგან, მე შევძლებ, ვაწარმოო გაბედული პოლიტიკა, რომელიც პარტიების შიგნით მიმდინარე დისკუსიებს და მათ დავალებებს სცდება.“

რობერტ კენედის მიერ ჩამოთვლილი 6 პუნქტი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ რაც მან თქვა, ეს ასეა და ის ამას არ დაუშვებს.

ფაქტი კი ის არის, რომ ამერიკამ ჯო ბაიდენის მმართველობის პერიოდში სერიოზული მტრები გაიჩინა. რუსეთი რომც არ ვახსენოთ, საკმარისია ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, თურქეთი და მთელი არაბული სამყარო — საუბარია ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხზე, რომელთაც ამერიკის ხსენება შესძულდათ.

როდესაც ამხელა ქვეყნის სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი ამბობს, რომ მისი დამოკიდებულება ისრაელის მიმართ არის არა როგორც სახელმწიფო მდივნის, არამედ როგორც ებრაელის, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვქვეშ აყენებს მის დიპლომატობას.

ცამდე მართალია რეჯეფ ტაიპ ერდოღანი — ეს რომ ერდოღანს ეთქვა, არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც მუსლიმი, ისე ვაფასებ რეგიონში ვითარებასო, ხომ მსოფლიო მსჯელობის საგანი გახდებოდა?

გავიგეთ, ვხედავთ, რომ კრიმინალებისა და ავანტიურისტების მიერ შექმნილი სახელმწიფო, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდის ფონზე დაიბადა, მსოფლიო წურბელაა, რომელიც სხვა ქვეყნების რესურსების მიტაცებით იკვებება. სამყაროში ყველაფერს აქვს დასასრული...

დიდი ხანია, ძალიან ცუდი სისხლიანი მსოფლიო თამაში აქვს წამოწყებული აშშ-ს და რასაც მოიმკის დათესილისგან, მსოფლიო მალე იხილავს...

ზურა ოქხერელი

სი ძინპინი მსოფლიოს სთავაზობს, პრობლემები ომის გარეშე მოაგვარონ

ახლო აღმოსავლეთში დაქოქილი და დაძრული ომის მანქანა ყოველდღიურად უმატებს სიჩქარეს, პოლიტიკოსები საწვავით უხვად ამარაგებენ, მის შეჩერებას კი არავინ ცდილობს, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ეს ხელეწიფება „ჰამასის“ შეტევიდან რამდენიმე დღის შემდეგ პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ თუ კონფლიქტი დროულად არ შეჩერდებოდა, რეგიონალურ ომში გადაიზრდებოდა. ამის ნიშნები უკვე არის. გასულ კვირას ისრაელის არმიას ჩრდილოეთიდან ყოველდღიურად უტევდა ლიბანის შეიარაღებული დაჯგუფება „ჰეზბოლა“. აშკარად შეინიშნება რეგიონის სხვა ქვეყნების ბრძოლებში ჩათრევის მცდელობაც, რაც, შესაძლოა, ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს.

„ჰამასის“ მიერ 7 ოქტომბერს განხორციელებულ სასტიკ შეტევას ისრაელის ქალაქებზე მოულოდნელობის ფაქტორს მიაწერენ, მაგრამ ბევრი კითხვა დღემდე უპასუხოდ რჩება. აშშ-ის მაღალჩინოსნების მტკიცებით, „ჰამასის“ შეტევამდე რამდენიმე დღით ადრე ეგვიპტის ხელისუფლება და დაზვერვის ცენტრალური სამმართველო აფრთხილებდნენ ისრაელს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იმის გარდა, რომ ისრაელის სანაქებო დაზვერვის სამსახურს „მოსადს“ გამოეპარა „ჰამასის“ შეტევა, არმია ექვსი საათის განმავლობაში უმოქმედოდ იყო, ტერორისტები უპრობლემოდ დათარეშობდნენ ქალაქების ქუჩებში. ღაზას სექტორი მთლიანად ბლოკირებულია.

ორ კვირაზე მეტია, რაც ისრაელის არმია ღაზას სექტორში სახმელეთო შეტევისთვის ემზადება. მათი მოწყობილი იყო საავამყოფოზე შეტევაო. თუმცა, ისრაელელების განცხადებები მათმა მხარდამჭერმა ქვეყნებმაც კი არ დაიჯერეს. მსოფლიოს მოსახლეობა აღაშფოთა სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებაზე განხორციელებულმა შეტევამ, სპონტანურად იფეთქა საპროტესტო აქციებმა მსოფლიოში. აშშ-ის კონგრესის ერთ-ერთ შენობაში შეიჭრნენ პროტესტანტები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში, პალესტინაში სისხლისღვრის შეჩერებას მოითხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ებრაელები იყვნენ, რომლებსაც ეცვათ მაისურები წარწერით: „არა ჩვენი სისხლით!“ ამით ხაზგასმით დააფიქსირეს ებრაელი ხალხის დამოკიდებულება ომისადმი. ვაშინგტონიდანაც მოუწოდეს ისრაელის ხელისუფლებას, დაიცვან ომის წესები.

ქვეყნებში, სადაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში ნეიტრალიტეტის დაცვას ცდილობენ ან ისრაელს თანაუგრძნობენ, აღშფოთდნენ და ისრაელის საწინააღმდეგო აქციები გამართეს. უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს სხდომაზე — როდესაც აშშ-ის წარმომადგენელი წარმოსთქვამდა სიტყვას, დარბაზში მსხდომები ადგნენ და აშშ-ის პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად გამომსვლელს ზურგი შეაქციეს.

სამოქალაქო ინფრასტრუქტურასთან ერთად, პალესტინაში რელიგიური ობიექტებიც ნადგურდება. გასულ კვირას ღაზას სექტორში ისრაელის არმიამ მე-5 საუკუნის ბერძნული მართლმადიდებლური ტაძარი დაბომბა, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქეები აფარებდნენ თავს. არიან დაღუპულები. ისრაელის ხელისუფლებას ამაზე კომენტარი ჯერაც არ გაუკეთებია. ორი დღის შემდეგ მდინარე იორდანეს მარცხენა ნაპირზე მდებარე მეჩეთი გაანადგურეს. ისრაელის ოფიციალური განცხადებით, მეჩეთს ტერორისტები აფარებდნენ თავს.

ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ქრისტიანულ ტაძარზე და მეჩეთზე შეტევა რელიგიურ ომში არ გადაიზარდოს. ამის ნიშნები უკვე არსებობს: ბელგიაში საფეხბურთო მატჩზე ისრაელის დროშებით მყოფი ორი შვედი გულშემატკივარი ტუნისელმა მიგრანტმა მოკლა. მკვლელმა თავადვე გაავრცელა სოციალური ქსელით მკვლელობის მიზეზი, რელიგიური მოტივებით ვმოქმედებდიო. დამნაშავის განეიტრალება პოლიციამ მხოლოდ 13 საათის შემდეგ შეძლო, მანამდე იგი ბრიუსელის ქუჩებში თავისუფლად გადადგილდებოდა. მიგრანტების პრობლემის გამო ევროპის ათმა ქვეყანამ უკვე გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი. ევროკავშირი, ფაქტობრივად, კვლავ იკეტება. ცნობილმა მილიარდერმა ილონ მასკმა გააკრიტიკა ევროპაში არსებული მიგრაციული პოლიტიკა: „თუ ყველა მსურველის უკონტროლოდ მიღება გაგრძელდა, ევროპაში სამოქალაქო ომი გარდაუვალია“.

შექმნილი მწვავე ვითარებიდან გამოსავალს ეძებენ ახლო აღმოსავლეთისა და არაბული ქვეყნები. ამ მიზნით გასულ კვირას ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში გაიმართა ფორუმი სახელწოდებით „მშვიდობისათვის“, რომელშიც 34 ქვეყანა მონაწილეობდა. საგანგებოდ მიიწვიეს გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერიეში. ფორუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ისრაელმა. აშშ-ს ეგვიპტეში მხოლოდ სრულუფლებიანი ელჩი წარმოადგენდა. ევროკავშირის პოზიციის და ისრაელის არყოფნის გამო კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. შეთანხმდნენ მხოლოდ ერთ საკითხზე: ღაზას სექტორში სასწრაფოდ შეიტანონ ჰუმანიტარული დახმარება. პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა პირდაპირი და კატეგორიული მოთხოვნით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, იზრუნოს რეგიონში ცეცხლის შეწყვეტაზე. ევროკავშირის წარმომადგენლები ნეიტრალურ პოზიციის დაკავებას ცდილობდნენ.

გამოცემა „პოლიტიკომ“ ისრაელის მხარდაჭერაში პირდაპირ დაადანაშაულა ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი. ანალიტიკოსები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში დიპლომატია დასამარდა. დასტურად აშშ-ევროკავშირის შეხვედრას ასახელებენ, სადაც ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტაზე პრაქტიკულად არ უსაუბრიათ.

ისრაელში ჩავიდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. მას დაგეგმილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში ტურნეს განხორციელება, სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან, მათ შორის მაჰმუდ აბასთან შეხვედრები. თუმცა, ისრაელის არმიის მიერ საავადმყოფოზე შეტევის მიზეზით აბასმა უარი თქვა ბაიდენთან შეხვედრაზე. ეგვიპტემ და იორდანიამ ბაიდენს მასპინძლობაზე უარი უთხრეს. ბაიდენმა ისრაელში ხუთ საათს დაჰყო, დაპირებები გასცა და დატოვა იქაურობა. აქვე უნდა გავიხსენოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის მიერ ახლო აღმოსავლეთში განხორციელებული ვოიაჟი. საუდის არაბეთში იგი ქვეყნის ფაქტობრივ მმართველს, მემკვიდრე პრინც მუჰამედ ბილ სალმან ალ საუდს უნდა შეხვედროდა. საღამოს მისული ბლინკენი დილამდე ელოდა მასპინძელს. შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა, მაგრამ უცნობია, რაზე ისაუბრა სტუმარ-მასპინძელმა...

პოლიტიკური კრიზისი აშშ-ში გრძელდება. მესამე მცდელობითაც კი ვერ შეძლეს კონგრესის სპიკერის არჩევა. პრეზიდენტი ბაიდენი უკრაინისა და ისრაელის დასახმარებლად დამატებით 100 მლრდ დოლარს ითხოვს, აქედან ისრაელისთვის 7 მლრდ-ს, ტაივანისთვის — 14, ხოლო უკრაინისთვის 60 მლრდ-ს. სპიკერის არყოლის გამო საკანონმდებლო ორგანო ჯერ უმოქმედოდაა. სამაგიეროდ, ბაიდენმა 15-წუთიანი საგანგები განცხადებით მიმართა მოსახლეობას: „...ჩვენ არ ვისწრაფით, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ეომებოდნენ უკრაინაში რუსეთს, მაგრამ თუ იქიდან წავალთ, პუტინს მადა კიდევ უფრო გაეხსნება. უკრაინისა და ისრაელის სამხედრო დაფინანსება გონივრული ინვესტიციაა, რაც ჩვენს ქვეყანას ათწლეულების განმავლობაში მოგებას მოუტანს“. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კონფლიქტების დროს ბაიდენს ერთხელაც არ უხსენებია „ცეცხლის შეწყვეტა“, „სამშვიდობო მოლაპარაკება“. ამერიკელი პოლიტოლოგის, დიმიტრი საიმსის თქმით „რასაც ბაიდენი აკეთებს, სხვა არაფერია, თუ არა ისრაელის მძევლად აყვანა, რათა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევა გააგრძელოს“.

ვითარება პალესტინაში, განსაკუთრებით ღაზას სექტორში, უმძიმესია. იქ მომუშავე ექიმები მსოფლიოს სთხოვენ დახმარებას, ითხოვენ მედიკამენტებს. არსებული ჰუმანიტარული ვითარებით შეშფოთებულია გაეროს გენმდივანი, რომელმაც მოინახულა პალესტინა-ეგვიპტის საზღვარი. გამშვები პუნქტი გასულ კვირას მხოლოდ 20 წუთით გახსნეს და ოცმა სატვირთო მანქანამ მოასწრო შეეტანა ჰუმანიტარული დახმარება, რასაც ანტონიო გუიერიეშმა „ზღვაში წვეთი“ უწოდა. როდის მიიღებს ღაზას მოსახლეობა მომდევნო ჰუმანიტარულ დახმარებას, უცნობია. სამაგიეროდ, აშშ-მა ისრაელს საარტილერიო დანადგარ „პეტრიოტების“ დამატებითი რაოდენობა გადასცა.

სახმელეთო ოპერაციის დაწყებას ისრაელი ყოველდღე აანონსებს. ექსპერტების შეფასებით, სახმელეთო ოპერაციას ისრაელი არ დაიწყებს, ვიდრე გეგმას აშშ-სთან არ შეათანხმებს. აშშ მოუწოდებს ისრაელს, თავი შეიკავოს სახმელეთო შეტევებისგან, ვიდრე „ჰამასი“ მძევლებს არ გაათავისუფლებს. მართალია, გასულ კვირას ტყვეობიდან ორი ქალი გაუშვეს, მაგრამ დანარჩენების გათავისუფლებაზე უარს ამბობენ. იმის საშიშროება, რომ რეგიონში საბრძოლო მოქმედებების არეალი გაფართოვდება, გაიზარდა. გასულ კვირას ისრაელის ავიაციამ დაბომბა აეროპორტები სირიის ორ ქალაქში. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ კვირას ლიბანის საზღვართან იმყოფებოდა, თავის ჯარისკაცებს შეხვდა და განაცხადა: „თუ „ჰეზბოლა“ ისრაელზე შეტევებს გააგრძელებს, ისე ვუპასუხებთ, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ“.

კვირა საღამოს საგანგაშო ცნობები გავრცელდა ირანიდან. ქვეყანაში დაიწყო ისრაელთან საომრად წასვლის მსურველთა შეკრება, რომელთა რიგებში უკვე ექვსი მილიონი ადამიანი ჩაეწერა. ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ მოუწოდა „ჰამასს“, თუ არ გინდათ, რომ სახმელეთო იერიში დაიწყოს, ყველა მძევალი გაათავისუფლეთ და ჩაგბარდითო. როგორ განვითარდება მოვლენები, მომავალში გამოჩნდება.

მნიშვნელოვანი გახლდათ გასულ კვირას ჩინეთში გამართული საერთაშორისო ფორუმი „ერთი მატარებელი — ერთი გზა“, რომელიც „აბრეშუმის გზის“ გაგრძელებაა. შეკრებას 140 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათგან რამდენიმე ათეული ქვეყნის პირველი პირი. მთავარი საპატიო სტუმარი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იყო, რომელიც პირისპირ (უკვე 42-ედ) შეხვდა ჩინეთის მმართველს სი ძინპინს. ცნობილი გახდა, რომ ჩინეთმა ხმელთაშუა ზღვაში 6 სამხედრო გემი გაგზავნა, სადაც უკვე იმყოფებიან აშშ-ისა და ბრიტანეთის ავიამზიდები. თუმცა სი ძინპინი მსოფლიოს სთავაზობს, პრობლემები ომის გარეშე მოაგვარონ.

უკრაინის რადამ გასულ კვირას ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესია უკანონოდ გამოაცხადა.

გია ბურდული
551 71 27 07

„შეუთავსებელთა შეთავსება“

ოთხწიგნეული „სუფევის“ საფუძველზე შექმნილი ვრცელტანიანი 5-ტომეული „შეუთავსებელთა შეთავსება“ ასახავს პლანეტარულის ცივილიზაციის შემოქმედი პროტოიბერიელების დღემდე უცნობ საკითხებს. მისი ავტორი, მწერალი გური ოტობაია, გახლავთ სსუ-ს საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი. წინამდებარე პუბლიკაცია ამ წიგნის საგაზეთო ვარიანტია.

დასახელებულ თემას რამდენიმე ათეული წელიწადია, ვუტრიალებ და დროთა მსვლელობაში საკმაოდ ვრცელტანიანი ნაწარმოები გამომივიდა — ხუთტომეული. ამართლაც, საკითხი ყოვლისმომცველია, მაგრამ რადგანაც ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ჩინებული ხალხური ლექსი:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში არკმარ იყო.

და კიდევ — ყველაფრის შემოქმედი ჯადოსნური უმართ-სამართის ინსტრუმენტი, აი, ამ ეროვნული საგანძურებით აღჭურვილს, განმიზრახავს, ჩემს ახლო მეგობარს, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამორჩეულ **ალექსანდრეს** საგულდაგულო წერილების ციკლით ვაუწყო ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის ანი და ჰოე.

უფლის მიერ ქვეყნიერების შექმნის პერიპეტიებზე მოგვიანებით დავძრავთ სიტყვას, თანამედროვე ანთროპოლოგ-ასტროფიზიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით კი სამყარო 13 მილიარდი წლისაა. ამ თარიღამდე ის დაწნეხილ გიგანტურ მასას წარმოადგენდა და 13 მილიარდი წლის წინათ მომხდარი დიდი აფეთქების შედეგად ჩამოყალიბდა (და ფორმირდება წამიწამ) თანამედროვე სამყარო თავისი გალაქტიკებით, ვარსკვლავებითა და პლანეტებით, მაკრო და მიკროსხეულებით. დიახ, სამყარო 13 მილიარდი წელიწადია, ფართოვდება და ამ გაფართოების პროცესში კვდებიან ძველი ვარსკვლავები, ჩნდებიან ახლები, შთაინთქმებიან მათ გარშემო არსებული პლანეტები თუ ციური სხეულები. ზოგ ობივატელს შეიძლება ეგონოს, რომ ამ პროცესს დასასრული არა აქვს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს გენიალური ბერძენი ფილოსოფოსის, **ჰერაკლიტე ეფესელის** (ძვ. წ. 520-460) სიტყვები: **სამყარო არის მარად ნთებადი და მარად ქრობადი ცეცხლი**. ანუ ორბოლოიანი ჯოხის კვალობაზე ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი საწყის-სასრული, და აქ საბოლოო წერტილად ჩვენ 26 მილიარდი წელიწადი გვევარაუდება. რატომ?! ამის თაობაზე — მოგვიანებით.

ჩვენს ცის თაღზე (რომლის მხოლოდ ნახევარს ვამჩნევთ, მეორე ნახევარი საერთოდ უხილავია კაცობრიული მზერისთვის) მილიონობით ვარსკვლავი კაშკაშებს. მათ ვიზუალურად განლაგების გარკვეული კონფიგურაციები გააჩნიათ, რომელთაც ვარსკვლავთმრიცხველი ქურუმები სხვადასხვა მიწიერი სახელით ნათლავდნენ: მაგ.: **„დიდი დათვის თანავარსკვლავედი“** — სამი და ოთხი ვარსკვლავის მეზობლობა, ტარიელ ჭანტურია ილენცურად **„გდია როგორც ჩარუ სეო“**, რომ იტყვის. დიახ, მილიონობით ვარსკვლავი კაშკაშებს კაცობრიობის თავზე, რომელთაგან მრავალი ჩამქრალია უკვე და ჩვენთან მისგან გამოტყორცნილი სხივი კიანთებს მხოლოდ. ამ კოლოსალურ განზომილებებში ჩვენი ცივილიზაციის სამყოფელი ადგილი ე. წ. **„ირმის ნახტომის გალაქტიკაა“**. დიახაც, ამ გალაქტიკაში მდებარეობს ჯუჯა ვარსკვლავად წოდებული **მზე,** დღემდე დაფიქსირებული 9 თანამგზავრით. ზურმუხტი დედამიწა მის გარშემო მოძრავი მესამე პლანეტაა, რომელსაც ღია კოსმოსში გასული **იური გაგარინი** აღტაცებული შესძახებს: **„ჩუდესენ“** (საოცარია!).

მზე 4,6 მილიარდი წლისაა, ხოლო დედამიწა 4,56 მილიარდ წელიწადს მოითვლის. აი, ამ, მძივივით ასხმულ სამყაროში გონიერი ადამიანის ასაკი სულ რაღაც 200-250 ათას წელს შეესაბამება. ხოლო მოაზროვნე ადამიანი **Homo Sapiens**-ი დაახლოებით 50 000 წლისაა ეთიოპიაში აღმოჩენილი ნამარხი სხეულის შესატყვისად. დაბოლოს, მიუხედავად ურთიერთგამომრიცხავი ვერსიებისა, დედამიწისეული ცივილიზაცია 8-7 ათასი წლისაა;

აჰა, მივედით ზემოთ ნახსენებ ასტროფიზიკოსების დებულებამდე, რომლის კვალობაზე დედამიწას 12 000 წლის წინათ დაეცა ასტრონომიული სხეული — **ასტეროიდი,** ათასჯერ დიდი, კუდიანი ვარსკვლავის სახელით ცნობილი **კომეტა**. ამ ასტეროიდმა ჩვენი პლანეტა დედამიწის ღერძი **38 გრადუსით** გადახარა. შეაშფოთა მსოფლიო წყლები, გარდაქმნა კონტინენტების ადგილმდებარეობა, შეცვალა დღე-ღამის ოდენობა. მეცნიერების ვარაუდით, ასტეროიდი ყინულოვანი მასა უნდა ყოფილიყო, თორემ კირქვოვანი საერთოდ გადააგდებდა დედამიწას ღერძიდან. თუმცა ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო, და აი, ამ ყინულოვანმა მასამ დედამიწას მოუმრავლა წყალი — სიცოცხლის უმთავრესი წყარო.

რაც შეეხება ღმერთის მიერ 6 დღე-ღამეში შექმნილ სამყაროს, ბიბლიური წარმოდგენებით, უფალთუფალი წარღვნას რომ მოუვლენს კაცობრიობას, გამორიცხული არ არის, ამ კატასტროფის თეოლოგიური, მისტიფიცირებული სურათი იყოს. ამის თქმას მაბედვინებს **ნოეს კიდობნის** პარამეტრებზე ჩემეული დაკვირვებები: მისი სიგრძე **300 წყრთაა** — 144 მეტრი (წყრთა შეესაბამება ადამიანის იდაყვიდან შუათითის ბილომდე მანძილს — **48 სანტიმეტრს)**; სიგანე **50 წყრთა** — 24 მეტრი; სიმაღლე **30 წყრთა** — 14,4 მეტრი. კიდობნის მოცულობის დასადგენად გადავამრავლებთ არსებულ სიდიდეებს — **144X24X14,4** და მივიღებთ **49766,4** კუბ/მეტრს.გავყოფ მერე ამ მონაცემს ქურუმულ **მუდმივა-13**-ზე და მივიღებ გასაოცარ ციფრს — **38281,84615**-ს. დიახაც, ეს მოცემულობა მაბედვინებს, ნოეს კიდობანი გამოვაცხადო ქურუმთაგან დედამიწაზე მომხდარი კატასტროფის ჩაწერის თარიღად. რადგანაც მიღებული განაყოფის პირველი ორი წევრი **„38“** შეესაბამება დედამიწის ღერძის **38 გრადუსით** გადახრას 12 000 წლის წინანდელი კატასტროფით. განაყოფის მეორე ორი წევრი „28“ შეესატყვისება დედამიწის ღერძის გადახრის სადღეისო ვითარებას, რომელიც ამჟამად ცოტათი ნაკლები, **26 გრადუსია**. ხოლო მესამე წევრი, **„1,8“** შესაძლოა, მიანიშნებდეს ამ ღერძის გადახრის შემცირებას დაახლოებით **2 გრადუსამდე**, რაც, ფაქტობრივად, დედამიწის 12 000 წლის წინანდელ მდგომარეობასთან მიახლოებაა, როცა დღე-ღამის ოდენობა ჩვენს პლანეტაზე **360** იყო.

აი, გამოვიარეთ 12 000 წლიდან 8000 წლამდე და დიახაც, 8000 წლიდან ჩნდება დედამიწაზე პირველი კაცობრიული ცივილიზაცია **ნოა კრამერის** მიხედვით, მესოპოტამიაში. აქ მერვე ათასწლეულში შუამდინარეთში პრიმიტიული შავთმიანი ტომები ცხოვრობდნენ. და აი, შუმერი ისტორიკოსის, **ბეროსის** მიხედვით (ძვ. წ III ს.) **ერითრიის ზღვიდან** (სპარსეთის ყურე) მოდის ვინმე **თევზკაცი** (მეხომალდე, ზღვაოსანი) **იოან** და ასწავლის მათ ხვნა-თესვას, გარეული ცხოველებისა და ფრინველების მოშინაურებას, ხეხილის, მცენარეების მოშენებას, არხების გათხრას, ქალაქების, სალოცავი **ზიკურატების** აშენებას, (მის პირველ სართულსარდაფს — სამსხვერპლოს **„ქუგგალე“** — შემოგვევლე ერქვა), დამწერლობას. თიხის ფირფიტებზე შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები შუმერების წყალობაა — **„გილგამეშიანი“**. პიქტოგრამებით გადმოცემული ეს პოემა აქადურმა ენამ შემოგვინახა, რომელიც ჩინებულად თარგმნა **ზურაბ კიკნაძემ**. პიქტოგრამების აღმაშენებელი პირველი მარცვალი — აგური წვეროთი დაღმამავალი ტოლგვერდა სამკუთხედია. მას ბევრგან წვერო გასერილი აქვს, რაც მიანიშნებს **ქალის საშოს, ვაგინას,** როგორც სიცოცხლის გაჩენის სათავეს. დიახაც, ამ სამკუთხედების ერთობით შენდება სხვადასხვა კონფიგურაციები, მაგალითად 5 სამკუთხედის წრეზე განლაგებით შეკრულია **„შარ“**, „სფერო“. ექვსი ტოლფერდა სამკუთხედით აგებულია წესიერი ექვსკუთხედი — **სექსტაგონი „დავითის ვარსკვლავი“** საფუძველთა საფუძველია და, რომლითაც **გენიალური ებრაელი ხალხის დრიშაზეა გამისახული უკვდავების სიმბოლოდ**. არადა, ოთხი აათასწლეულის წინათ **თიამათუს** ხელისგულზე გახლდათ იგი ამოტვიფრული. სამკუთხედი, ვინაიდან სიცოცხლის საწყისადაა შუმერეთში გამოცხადებული, ჩვენ გვიადვილდება მსოფლიო ცივილიზაციის მოძრაობის ტეხილხაზის განსაზღვრა. მან მესოპოტამიიდან გამოიარა კოლხეთი, კავკასია, რამეთუ ეს სამკუთხედი ქვის დაფების სახით აღიმართა ჩვენში წერილსვეტებად, რომელზეც **წარწერილი იყო ოქროსა და რკინის მიღების წესები ქიმიის მეშვეობით** (პინდარე, ძვ. წ. 518-438). ამ წერილსვეტებზე აღმართულ ქვის სამკუთხედებს სიმბოლურად **კირბები** (კირბი კრავია მეგრულში, აქედან მოდის იმერეთის ოკრიბა, ქურუმთა კასტა კორიბანტები მცირე აზიაში) ეწოდებოდა. ხოლო მოგვიანებით დედამიწისეული ცივილიზაცია კოლხეთიდან გადაეცა ეგვიპტეს, ვინაიდან ამ სამკუთხედმა ეგვიპტეში შეიძინა კლასიკური ფორმა პირამიდის სახით — მოცულობა და იქცა ფარაონის ცად ამაღლების ინსტრუმენტად, ქვის კოსმოსურ ხომალდად **(გიზო ვაშაკიძე)**. სამკუთხედს ჩვენ ვპოულობთ თვით ფარაონების კორონაციისას, დაგვირგვინებისას **ქართუშთაგან**. ეს ქართუშები გახლდნენ დღევანდელი ქართველების შორეული წინაპრები. ისინი იმ პერიოდისათვის აღავსებდნენ ხმალთაშუა ზღვაში არსებულ კუნძულ კრეტას და 3800 წლის წინათ აღიგავენ მიწის პირისაგან არიული ტალღის შემოსევით (გია **კვაშილავა)**. გადაჯვარედინებულ ხელებში ფარაონს ორი სკიპტრა უკავია, ერთი მთავრდება სამკუთხედით, ხოლო მეორე რგოლით, შარით და აცხადებს: **„მე ვფლობ მდედრს და მამრს, მე ვფლობ სიკვდილს და სიცოცხლეს, მე ვარ მიწაზე ფეხით მოსიარულე ღმერთი“**. მუმიფიცირების დროს ამ ფარაონს გადაჯვარედინებული ხელებით ჩაასვენებდნენ სარკოფაგში **კოლხიტები!** აქაც სამკუთხედიანი და რგილიანი სკიპტრები აქვს ჩაბღუჯული გულზე ხელდაკრეფილ ფარაონს. ამ პოზას ქართულ ასომთავრულში შეესაბამება ასო-ნიშანი **„ჯ“, ჯანი**.

სანამ უშუალოდ ქართული ცივილიზაციის ნიუანსებს შევეხებოდეთ, უპრიანია აქვე გავაცხადოთ, რომ შუმერულ სივრცეში წარღვნის მითოლოგიის მთავარ პერსონაჟს **„გილგამეშიანის“** მიხედვით **ზიუსუდრა** ერქვა, რომელსაც კაცობრიობის გადარჩენისთვის ღმერთებმა უკვდავება მიანიჭეს. მაგრამ აი, მოვიდნენ თეთრთმიანი ადამიანები ჩრდილოეთიდან და თვალსა და ხელს შუა ააწაპნეს უკვდავება მესოპოტამიის ხელდასხმულ მეფე ზიუსუდრას. „გილგამეშის“ ეპოსის შექმნიდან გავიდა გარკვეული პერიოდი და შუმერული სახელმწიფო ორენოვანი გახდა. ჩრდილოეთიდან შემოსულმა სემიტურმა ტომებმა იმძლავრეს და მონილითურ მესოპოტამიას წყალი შეუყენეს, მათი **ზიუსუდრა** აქადურ **უთანაფიშთიმად** გადააკეთეს. კიდევ რამდენიმე ხანის თანაცხოვრება და ამჯერად გაცილებით მომძლავრებულმა სემიტებმა, ბაბილონის ზეობის პერიოდში, უთანაფიშთიმად გადანათლული ზიუსუდრა უფრო დააშორეს პირვანდელ სახელდებას და **ნოედ** წარმოაჩინეს იგი.

წარმოგიდგენიათ ახლა რა დღეშია ჩავარდნილი ჩვენი ცივილიზაცია — კაცობრიობის შემოქმედ ხალხს — **პროტოიბერიელებს, თევზკაცი იოანის შთამომავლებს**, ისტორიის გაყალბებისა და ფალსიფიკაციის წყალობით, ცნობიერი ათასწლეულების წაგვრით, მეორეხარისხოვან, მესამეხარისხოვან ხალხს გვეძახის „ქართლის ცხოვრების“ „შემოქმედი“ ლეონტი მროველი; **ქართველებს — ნოეს უფროსი ვაჟის იაფეთის შთამომავლად წარმოგვსახავს, ებრაელებს — სემისგან გამოსულებად, ხოლო მუსულმანებს — ქამის ჩამომავლებლად**. თუმცა, როგორც იტყვიან, ყველაფერზე — რიგითობის მიხედვით მომდევნო წერილებში.

ადვოკატთა უფლებები კვლავ დასაცავია

რა ხდება სასამართლო სისტემაში, რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული მართლმსაჯულება, რა შეიცვალა ნაციონალური რეჟიმის შემდეგ და რას ფიქრობენ იურისტები დასავლეთის მიერ მოსამართლეთა დასანქცირებასთან დაკავშირებით.

ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ადვოკატი **გია ტაბლიაშვილი**.

- ბატონო გია, წლების განმავლობაში სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობდით, შემდეგ მოღვაწეობა განაგრძეთ ადვოკატურაში, ხელმძღვანელობდით ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რომელიც ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობას შეისწავლის. ფაქტობრივად, ერთ-ერთი მემატიანე ხართ, რომლის თვალწინაც შეიქმნა თანამედროვე ქართული მართლმსაჯულება. რა განსხვავებაა წარსულ და დღევანდელ მართლმსაჯულებას შორის?

- ქართულმა მართლმსაჯულებამ განვითარების ურთულესი ეტაპები გაიარა, თანამედროვე ქართული სამართალწარმოება და მართლმსაჯულება (ვგულისხმობ საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდს) მუდმივ რყევებს განიცდიდნენ, როგორც ნეგატიური, ასევე დადებითი მიმართულებით.

2003 წლამდე, ქართული მართლმსაჯულება იყო ეგრეთ წოდებულ დეპრესიულ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში არაერთი გამოჩენილი და უაღრესად კვალიფიციური იურისტი გვყავდა იმ დროს, სახელმწიფოში არსებული პოლიტიკურ - სოციალური მდგომარეობა არ აძლევდა სამართალს სრულფასოვანი განვითარების და მისთვის შესაბამის სიბრტყეში გადასვლის საშუალებას. სამართალი ძალიან ნელა მიიწევდა წინ. ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის, ხელისუფლების სისუსტისა და უკონტროლობის ფონზე ჩამოყალიბებული კორუფციის განუზომელი მასშტაბები, მართლმსაჯულებას საშუალებას არ აძლევდა, თანამედროვე, დემოკრატიული, ევროპული მოდელის წარმონაქმნად ჩამოყალიბებულიყო.

- ცნობილია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს გამოძიება არ არსებობდა, პროკურატურა ითავსებდა თემიდის როლსაც. იმ ფონზე მახსოვს თქვენი, როგორც ადვოკატის, აქტიურობაც...

- 2003 წლის 23 ნოემბერს ქვეყანაში დატრიალებული ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციას მოსახლეობის უმრავლესობა იმედით შეხვდა. ქვეყანა ახლი მოლოდინითა და იმედით სულდგმულობდა სააკაშვილის მოწოდებების ფონზე, რომელიც კორუფციისა და სიღარიბის აღმოფხვრის ლოზუნგით მოვიდა. ნაცვლად იმედის გამართლებისა საზოგადოებამ მიიღო უმძიმესი მდგომარეობა, ქართული სამართალდამცავი და სასამართლო სისტემები მთლიანად უზურპირებული აღმოჩნდა და საზოგადოება კიდევ ერთხელ დარჩა მოტყუებული. ქვეყანაში დაიწყო ტოტალური რეპრესიები, სასამართლო სრულად დაექვემდებარა პროკურატურის სისტემას და სანოტარო ბიუროდ იქცა.

2010 წლის 1-ელ ოქტომბერს მიღებული იქნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელმაც სრულად მოახდინა ადვოკატთა ინსტიტუტის უგულებელყოფა, საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა ადვოკატის როლის უგულებელყოფა, ბრალდებული ადამიანი პროკურატურის კლანჭებში მოექცა და, ბუნებრივია, მართლმსაჯულებაზე კი არა, იოტისოდენა ობიექტურ და მიუკერძოებელ სამართალზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, ქვეყანა ტოტალური უსამართლობის მსხვერპლად იქცა. საქართველოს ისტორიის არცერთ ეტაპს არ ახსოვს მსგავსი უკანონობა და უსამართლობა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს ხდებოდა.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს სისხლის სამართალწარმოებაში გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა იყო 1%, რაც თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელი მაჩვენებელია. ამ ფაქტის პირდაპირ პროპორციულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან შესული საჩივრები ადამიანის უფლებების დარღვევის წარმოუდგენელ ფაქტებზე. ჩემი პირადი საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე (არაერთ გახმაურებულ და გაუხმაურებელ საქმეებში მიმიღია მონაწილეობა), **შემიძლია გულწრფელად განვაცხადო, რომ მდგომარეობა სააკაშვილის მართლმსაჯულების სისტემასთან შედარებით რადიკალურად არის შეცვლილი დადებითი კუთხით. 2013-2017 წლებში სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. ადვოკატის როლი მართმსაჯულების განხორციელების პროცესში უდავოდ გაიზარდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ადვოკატის მიერ გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარების საშუალება, ადვოკატის მიერ მტკიცებულებების მოპოვების უფლება.**

- რამდენად კომპეტენტურია დღეს ჩვენი გამოძიება? მაგალითად, ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დავა რამდენიმე ადვოკატის, კერძოდ, ნათელა გოდერიძისა და მზევინარ კოსტავას წინააღმდეგ, რომელიც მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას და საჯარო რეესტრში დაცულ დოკუმენტებს ეხება. ფაქტია, პროკურატურას უჭირს, ერთმანეთისგან გამიჯნოს სისხლისა და სამოქალაქო დავის პასუხისმგებლობა, კერძოდ, სად იწყება და სად მთავრდება ადვოკატის როლი მაშინ, როდესაც ამავე საქმეზე სამოქალაქო სასამართლოს ადვოკატებისა და მათ კლიენტთა სასარგებლოდ გამოტანილი აქვს გამამართლებელი ვერდიქტი. ამ ფონზე, ზოგადად, არსებობს თუ არა სისხლის სამართლის და სამოქალაქო დავის გამიჯვნის პრობლემა დღევანდელ გამოძიებაში და რა შეიძლება გაკეთდეს?

- ადვოკატთა კორპუსი ისევ აწყდება მნიშვნელოვან პრობლემებს სამართალწარმოების განხორციელების დროს, კერძოდ, ადვოკატს ხშირად აყენებენ არათანაბარ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობაში მკაცრად არის გაწერილი მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ადვოკატი ხშირად არის უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლი, დაუცველი და დღეისათვის სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია მკაცრი მარეგულირებელი მექანიზმები ადვოკატის პროფესიისა და ღირსების დასაცავად.

თქვენ მიერ დასახელებული ჩემთვის პატივსაცემი ქალბატონების ნათელა გოდერიძის და მზევინარ კოსტავას სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაც ხსენებულ საქმეზე სრულიად უსაფუძვლოდ და იურიდიულ ნონსენსად მიმაჩნია.

ადვოკატი ჯერ კიდევ არ არის გაიგივებული სახელმწიფოს მიერ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებადამცველთან. ადვოკატს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ ანიჭებს სათანადო რეიტინგს და პატივს იმისათვის, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ბრალდების მხარე ვერ ბედავდეს დევნის დაწყებას, როცა სახეზეა სამოქალაქო დავის თემა.

ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, როდესაც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება სრულიად გაუმართლებელია. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს პრაქტიკაში, მაშინ როდესაც სახეზეა სრულიად ნათლად და ცალსახად სამოქალაქო დავის ყველა საფუძველი. სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს ცალსახად გამოკვეთილი საკანონმდებლო ბაზა, მკაცრად უნდა იყოს დაწესებული მონიტორინგი ამ კატეგორიის ნებისმიერ საქმეზე და ბრალდების მხარე, რომელიც სრულიად გაუმართლებლად და ადვოკატის ღირსების შელახვის ხარჯზე იწყებს დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო დევნას, მკაცრად უნდა დაისაჯოს, უმკაცრესი ზომები უნდა გატარდეს მსგავსი თანამდებობის პირთა მიმართაც.

უნდა შეიზღუდოს ბრალდების მხარის დისკრეციის ფარგლები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნები) და მკაცრად უნდა გაიწეროს კონკრეტული მიმართულებები, რა შემთხვევებია ასეთ დროს გასათვალისწინებელი. საპროცესო კოდექსის ეს მუხლი სააკაშვილის რეჟიმის გადმონაშთია და ამიტომაც არის დღეს ეს მდგომარეობა.

- არ შემიძლია არ გკითხოთ, რას იტყვით ჩვენი მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით, მაგალითად, რამდენად ადეკვატური იყო მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის ამგვარი დასჯა დასავლეთის მიერ, როცა მისი პროფესიული საქმიანობის შესწავლა არ მომხდარა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მსჯავრდებულმა ნიკა გვარამიამ თქვა, რომ ამ მოსამართლეს აღარ შეეხებოდნენ და ციხიდან გათავისუფლების დროსაც კი მის წინააღმდეგ ერთი საყვედურიც არ დასცდენია. დაირღვა თუ არა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის უფლება და რა სამართლებრივი მექანიზმი დარჩა მას, რომ თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს?

- რაც შეეხება მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესებას, ეჭვგარეშეა, რომ ეს სრულიად უსაფუძვლო, არაგონიერი და მიკერძოებული ფაქტია. არაფერი საერთო არ აქვს ამას კანონიერებასა და ობიექტურობასთან. სანქციის გამოყენება დასავლეთის მხრიდან მოსამართლეთა კორპუსის დაშინების სრულიად უშედეგო მცდელობაა, ვინაიდან მათ წინააღმდეგ. არცერთი კონკრეტული ფაქტი ან თუნდაც ირიბი სამხილი არ არსებობს.

ესაუბრა
ლევან ჭიღლაძე

იდუმალი მისტერ შარპი – ფერადი რევოლუციების მამა



ბალტიისპირეთში „მომღერალი რევოლუციის“ დროს განვითარებული მოვლენები

შარპმა განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის ოპოზიციას მხოლოდ 1991 წლიდან უწევდა კონსულტაციებს, რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერისა და ვილნიუსისს ტელეანძის ტრაგიკული შტურმის შემდეგ. მიუხედავად ამისა, უფრო ადრინდელი მოვლენები ძალიან ჰგავდა შარპის მეთოდურ სახელმძღვანელოებში აღწერილს. პროტესტანტები მასობრივი მსვლელობების დროს

აქტიურად გამოიყენებდნენ ნაციონალურ დროშებს და მღეროდნენ ბალტიისპირეთის აკრძალულ ჰიმნებს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში გამოიცემოდა ბროშურები არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდების შესახებ. მსხვილი გაზეთები ბეჭდავდნენ სტატიებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სამოქალაქო წინააღმდეგობის გამოცდილებისა და ისტორიის შესახებ. ამ ტაქტიკებს ადვილად იპოვნით შარპის წიგნში არაძალადობრივი ბრძოლის 198 მეთოდიკაში, რომელიც ჯერ კიდევ 1970 წელს გამოიცა.

საპროტესტო მოძრაობებში, რომლებმაც ორიათასიანი წლების დასაწყისში პოსტსაბჭოთა სივრცეს გადაუარა, შარპი ქმედით მონაწილეობას არ იღებდა, სამაგიეროდ, აქტიურად მონაწილეობდნენ მისი მიმდევრები და მოსწავლეები.

1990-იანი წლების ბოლოს ისინი აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ სტუდენტურ ორგანიზაცია „ოტპორს“, რომელიც სლობოდან მილოშევიჩის ჩამოგდებას ისახავდა მიზნად.

უცხოელი კურატორების მხარდაჭერით გამოიცა შარპის „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“ სერბული თარგმანი. მისი რამდენიმე ათასი ეგზემპლარი უფასოდ დაურიგდათ სტუდენტებს, რომლებიც საპროტესტო მოძრაობის ბირთვად იქცნენ. 2000 წლის გაზაფხულზე ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტმა ბუდაპეშტში „ოტპორის“ ოპოზიციონერებისთვის სემინარი ჩაატარა.

ყველა ხარჯი საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა დაფარა, მეცადინეობებს თადარიგის პოლკოვნიკი რობერტ ჰელვი ატარებდა, სწორედ ის, რომელმაც ოდესღაც შარპი ბირმაში დაპატიჟა, სადაც მან თავისი ცნობილი მეთოდიკის სახელმძღვანელო დაწერა. სემინარები ჩაატარა ბუდაპეშტში დემოკრატიის ნაციონალურმა ინსტიტუტმაც. გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობა აშკარად აფინანსებდა სერბ ოპოზიციონერებს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სერბეთში „დემოკრატიის ასაშენებლად“ ოფიციალურად გამოიყო 41 მილიონი დოლარი, სინამდვილეში კი რეალური თანხა ბევრად აღემატებოდა გაჟღერებულს.

ვაშინგტონის ღია და გულუხვი მხარდაჭერა, რომელიც დაინტერესებული იყო მისთვის არასასურველ ქვეყნებში სხვაგვარად მოაზროვნეთა წაქეზებით, შარპის წიგნის ერთგვარ რეკლამად იქცა, მიაჩნია გლობალური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის **Vision & Global Trends**, პოლიტოლოგ ტიბერიო გრაციანის: „შარპის მეთოდიკის წარმატება განპირობებულია იმით, რომ ეგრეთ წოდებულ პაციფისტურ პროტესტებს, რომლების ამ წიგნის მიხედვით ხორციელდებოდა, დასავლეთი მასირებულ მხარდაჭერას უწევდა“.

სერბეთში შარპის მეთოდიკის წარმატებულად გამოყენების შემდეგ „ოტპორის“ რევოლუციონერებმა ქართველი და უკრაინელი თანამოაზრეების მომზადება და სწავლება დაიწყეს, რომელთა შორის სტუდენტური ორგანიზაციები აქტიურობდნენ.

შარპის მოწაფეები მონაწილეობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი რევოლუციებიის ორგანიზებაში.

შპიგელ-ის მონაცემებით, ქართულ „კმარას“ აფინანსებდა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია **Freedom House**, რომლის სათავეშიც პიტერ აკერმანი იყო, შარპის ერთ-ერთი მოწაფე. პიტერ აკერმანის მიერ დაარსებული არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრი კონსულტაციებს უწევდა მოძრაობის ლიდერებს, იყენებდა ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტის მასალებს, მათ შორის, წიგნს „დიქტატურიდან დემოკრატიისკენ“.

იგივე სცენარი განმეორდა უკრაინაშიც: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (**USAID**) და ამერიკის ნაციონალურმა ფონდმა დემოკრატიის მხარდასაჭერად და ოპოზიციის დასახმარებლად მილიონობით დოლარი გამოყვეს, სტუდენტური მოძრაობის წევრები კი საპროტესტო ტაქტიკებს ბელგრადში სწავლობდნენ, მათ შორის, პოლკოვნიკ რობერტ ჰელვისთან.

მიუხედავად ყველაფრისა, შარპს ვერც „ბულდოზერის რევოლუციას“, ვერც „ვარდების რევოლუციის“ და ვერც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ორგანიზატორს ვერ დავარქმევთ.

ამერიკელი სოციოლოგი ბოსტონში თავისი სახლიდან, სადაც ორქიდეების მოშენებით იყო დაკავებული და წიგნებს წერდა, პრაქტიკულად არ გამოდიოდა. ამ დროს შარპის მოწაფეები და მიმდევრები მიღწეულზე არ ჩერდებოდნენ: „ბულდოზერის რევოლუციას“ ბელგრადში და „ნარინჯისფერ რევოლუციას“ უკრაინაში, მოჰყვა ყირგიზეთის „ტიტების რევოლუცია“ 2005 წელს, შემდეგ კი ფერადი რევოლუციების მცდელობები უზბეკეთში, ბელორუსიასა და სომხეთში 2005-2006 წლებში.

ყოველ ჯერზე წინააღმდეგობა მატულობდა, რაღაც მომენტში შარპის არაძალადობრივმა მეთოდები შეიარაღებულმა შეჯახებებმა და სამოქალაქო ომის ქაოსმა ჩაანაცვლა.

2011 წელს ახლო აღმოსავლეთში „არაბული რევოლუციის“ ტალღამ გადაიარა, 2014 წელს კი ევრომაიდანმა უკრაინა ორ შეურიგებელ ბანაკად გაყო. ორივე შემთხვევაში რევოლუციურმა მოვლენებმა დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა ქვეყნებზე, ხოლო ხალხებისთვის ტრაგედიებად იქცა.

და, მიუხედავად იმისა, რომ შარპის, როგორც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელ ბოროტ გენიოსზე საუბრის საფუძველი არ გაგვაჩნია, უკანასკნელ ათწლეულებში მომხდარი ფერადი რევოლუციების მოვლენებში მისი როლის უარყოფა და დაუფასებლობა არ შეიძლება. სიმართლე სადღაც შუაშია.

სინამდვილეში, მარტო შარპმა არ მოიგონა ყველაფერი და არც მარტო მან განახორციელა, მაგრამ იმაზე საუბარი, რომ იგი მხოლოდ სოციოლოგია და რამდენიმე თეორიული წიგნი დაწერა, არასერიოზულია.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99